

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირება

ფინანსები და საბანკო საქმე

ლაშა-გიორგი სიმონიშვილი-ჯაყელი

ქონების დაზღვევის თავისებურებები საქართველოში:

რეალობა და პერსპექტივები

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ე.ა.დ. პროფ. ნ.კაკაშვილი

თბილისი

2020

ანოტაცია

საბაზრო ეკონომიკის პირობებში დაზღვევა სამეწარმეო საქმიანობისა და კვლავწარმოებითი პროცესის განვითარების, საქონელწარმოებისა და საქონელგაცვლითი ოპერაციების გაფართოების უმნიშვნელოვანეს ხელშემწყობ და მის დამცავ საგარანტიო სისტემას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ქონების დაზღვევის მიმართულება დღესდღეობით კვლევის არაპოპულარული ობიექტია. მცირეა მოსახლეობის დაინტერესებაც, ამაზე მიუთითებს, ასევე ამ მიმართულებით დაზღვეულთა მცირე რაოდენობა.

თემის მიზანია ქონების დაზღვევის მიმართულებით სადაზღვევო ბაზრის ფუნქციონირებისა და რეგულირების ანალიზი და განვითარებული ქვეყნების სადაზღვევო საქმიანობის ანალიზის საფუძველზე მისი სრულყოფის გზების განსაზღვრა.

ნაშრომის კვლევის ობიექტია საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარების ტენდენციების დადგენა, კერძოდ ქონების დაზღვევის მიმართულებით. სადაზღვევო სისტემაში მიმდინარე ცვლილებების ანალიზი, რომლის დანიშნულებაც არის კონკურენტულ პირობებში ახალი სადაზღვევო მიმართულებების ათვისება.

Annotation

Peculiarities of property insurance in Georgia:

Reality and prospects

Lasha-Giorgi Simonishvili-Jakeli

In a market economy, insurance is the most important contributor to the development of entrepreneurial activities and the reproductive processes, the production of goods and the expansion of commodity exchange operations, and its protective guarantee system.

I want to underline, that the property insurance direction is currently an unpopular object of research. There is also little interest from the population, as evidenced by the small number of people insured in this direction.

The aim of the topic is for analyzing the functioning and regulation of the insurance market, in the field of property insurance and to determine the ways to improve it based on the analysis of the insurance activities of developed countries.

The object of the research is to identify the development trends of the Georgian insurance market, in particular, in the direction of property insurance. Analysis of ongoing changes in the insurance system, the purpose of which is to develop new insurance directions in competitive conditions.

| | |
|---|----|
| ანოტაცია (ქართულ ენაზე) | |
| ანოტაცია (ინგლისურ ენაზე) | |
| შესავალი | 5 |
| თავი პირველი. დაზღვევის ეკონომიკური არსი | 7 |
| 1.1. ქონების დაზღვევის არსი და დანიშნულება | 7 |
| თავი მეორე. ქონების დაზღვევის სახეები | 15 |
| 2.1. დაზღვევა ხანძრისაგან და მესამე პირთა ბოროტგანზრახული ქმედებებისაგან | 15 |
| 2.2. სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა..... | 18 |
| 2.3. ტვირთების დაზღვევა..... | 22 |
| თავი მესამე. ქონების დაზღვევის განვითარების პერსპექტივები საქართველოში | 26 |
| 3.1. სადაზღვევო კომპანიების მიერ შეთავაზებული სადაზღვევო პაკეტები ქონების დაზღვევაში..... | 26 |
| 3.2. სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის სტატისტიკური ანალიზი ქონების დაზღვევის მიმართულებით | 30 |
| 3.3. COVID პანდემია და 2020 გამოწვევები..... | 50 |
| დასკვნები და წინადადებები..... | 54 |
| გამოყენებული ლიტერატურის სია..... | 58 |
| დანართები:..... | 59 |

შესავალი

თემის აქტუალობა. ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება მრავალგვარ საფრთხესთან და ხიფათთან არის დაკავშირებული. ტექნოლოგიური განვითარების მიუხედავადც კი ისეთი შემთხვევები როგორებიც არის მაგალითად: სტიქიური მოვლენა, სნეულება-ავადმყოფობა, უბედური გაუთვალისწინებელი შემთხვევები და ა.შ. სერიოზულ და მრავალფეროვან ზარალს აყენებს ადამიანებს. ნებისმიერ უარყოფით ქმედებას ზნეობრივი იქნება ის თუ ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ სხვა, აქ მოხსენიებულ მხარეებთან ერთად მატერიალურად გააჩნია, რომელიც ამ შემთხვევის დადგომისას, ზარალის სახეს იიღებს ხოლმე.

როგორც ასეთი სადაზღვევო საქმიანობა და თავად დაზღვევა, საბაზრო ეკონომიკური სისტემის და ფინანსური ურთიერთობების ერთიანი შემადგენელი ნაწილია. ის, პირველ რიგში, ეკონომიკური სფეროა, რომელიც ძირითადად გადანაწილებით ურთიერთობათა წრის სფეროს მიეკუთვნება. საბაზრო ეკონომიკის პირობებში დაზღვევა სამეწარმეო საქმიანობისა და კვლავწარმოებითი პროცესის განვითარების, საქონელწამოებისა და საქონელგაცვლითი ოპერაციების გაფართოების უმნიშვნელოვანეს ხელშემწყობ და მის დამცავ საგარანტიო სისტემას წარმოადგენს.

კვლევის მიზანი და ამოცანა. ნაშრომის მიზანია ქონების დაზღვევის მიმართულებით სადაზღვევო ბაზრის ფუნქციონირებისა და რეგულირების ანალიზი და განვითარებული ქვეყნების სადაზღვევო საქმიანობის ანალიზის საფუძველზე მისი სრულყოფის გზების განსაზღვრა. ამისათვის ნაშრომში ჩამოყალიბებულია კვლევის შესაბამისი ამოცანები:

- ქონების დაზღვევის არსი და სახეების განმარტება;
- ქონების დაზღვევის ბაზრის განვითარების პერსპექტივების ანალიზი საქართველოში;
- ცალკეული სადაზღვევო კომპანიების ფუნქციონირების თავისებურებების შესწავლა და ორგანიზაციათა ფინანსური სტაბილურობის მიღწევის გზების განსაზღვრა.

კვლევის ობიექტი და საგანი. კვლევის ობიექტი - საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარების ტენდენციების დადგენა, კერძოდ ქონების დაზღვევის მიმართულებით.

კვლევის საგანი - საქართველოში ქონების დაზღვევის ფუნქციონირებისა და რეგულირების სრულყოფა.

მოქალაქეთა და კერძო-სამეურნეო სუბიექტების ქონებრივი ინტერესები შესაძლებელია გამოვლინდეს მაშინ როცა: ქონება დაზიანდება, დაღუპვისას, განადგურებისას, გამარცვისას, დატბორვისას და სხვა. თუმცა, ქონების დაზღვევა იცავს ქონებას სწორედ იმ შემთხვევისას, როცა დაზიანება არ არის განზრახ ჩადენილი, ანუ მიზან მიმართულადარ განხორციელებულა ზარალი.

ნაშრომის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძველი. ნაშრომს საფუძვლად უდევს სადაზღვევო ბაზრის შესახებ დაწერილი ქართული და უცხოური ლიტერატურული ნაწარმოებები და წყაროები, ბეჭდვითი სტატიები, ინტერნეტში მოძიებული დეტალური ინფორმაციები. ამის საფუძველზე, განხორციელდა სტატისტიკის წარმოდგენა საქართველოს სადაზღვევო არეალზე ქონების დაზღვევის განვითარების თავისებურებებისა და იდენტიფიცირების კვლევა და სექტორის ფინანსური რსურსების შეფასება.

ნაშრომის კონკრეტული შედეგები და მეცნიერული მიღწევები. ნაშრომში ჩამოყალიბებულია სადაზღვევო ბაზრის(ქონების) ფორმირებისა და ფუნქციონირების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების სისტემური ანალიზი.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომის შედეგების გამოყენება შესაძლებელია ქონების დაზღვევის და ზოგადად სადაზღვევო ბაზარზე პერსპექტიული მიმართულებების დადგენასა და განვითარებისათვის.

თავი პირველი. დაზღვევის ეკონომიკური არსი

1.1. ქონების დაზღვევის არსი და დანიშნულება

დაზღვევა ის განსაკუთრებული მოვლენაა და თითქმის შეუცვლელი საიმედო მექანიზმია, რომელიც დედაბუნებისა და მოსახლეობის ძალთა საპირისპირო ურთიერთობების შედეგად მიღებულ ზარალს ფარავს და იცავს მოსახლეობის ქონებრივ და პირად ინტერესებს. როგორც ასეთი სადაზღვევო ურთიერთობებს და ასევე თვით დაზღვევასაც, ჩაეყარა საფუძველი კაცობრიობის დასაწყისიდანვე, უბრალოდ თავიდან პრიმიტიული ფორმა გააჩნდა. დაზღვევა მარტივად რომ ვთქვათ მოსახლეობის საქმიანობის, მათი მატერიალური და არამატერიალური ქონების დაცვის ერთ-ერთი სანდო და გამჭირვალე საშუალებაა.

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქონების დაზღვევა წარმოადგენს დამზღვევსა და მზღვეველს შორის მომსახურების უზრუნველყოფის სისტემას. ქონების დაზღვევის დროს დამზღვევს შეიძლება წარმოადგენდეს არა მარტო მესაკუთრე, არამედ იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც პასუხისმგებელია ამ თუ იმ კონკრეტული ქონების უსაფრთხოებაზე.

დაზღვევის როლი მკაფიოდ ჩანს მაშინ როცა, ის საგრძნობლად ადაბლებს, როგორც ბუნებრივ-კლიმატურ მოვლენებს მაგალითად როგორიცაა: მიწისძვრა, წყალდიდობა, გრიგალი, გვალვა და ა.შ. და ტექნოგენურ მოვლენებს მაგალითად როგორებიცაა: აფეთქება, ავარია, ხანძარი და სხვა.

დაზღვევა გახლავთ ფინანსურ და მატერიალურ თანამშრომლობაზე დამყარებული ურთიერთობების განუმეორებელი და სპეციფიური ფორმა, რომელიც დამოკიდებულია და მიზანმიმართულია მრავალ ფუნქციური საქმიანობების რისკების ხარისხის შემცირებაზე და გარანტიას წარმოადგენს ადამიანებისა და ეკონომიკური სუბიექტების მატერიალურ-ქონებრივი ინტერესების დაცვისთვის, არასასურველი შედეგის

დადგომისას, რა დროსაც მატერიალური ანაზღაურება მოხდება ზარალისა, თუ რა ტქმა უნდა ზიანი მიზან მიმართულად არ განხორციელებულა.

ასე რომ, დაზღვევა, როგორც ეკონომიკურ-მატერიალური სფერო გვევლინება ფინანსურ ურთიერთობათა განსაკუთრებულ სახედ.

დაზღვევის განმარტებაში ნაგულისხმებია, როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირების დამოკიდებულება თავიანთი ქონებრივი ინტერესების რისკებზე.

სადაზღვევო პრაქტიკაში ქონების დაზღვევას მიაკუთვნებენ ყველა იმ დაზღვევას, რომელსაც არანირი კავშირი არ გააჩნია, როგორც პირად ასევე პასუხისმგებლობის დაზღვევასთან.

განსაკუთრებული სადაზღვევო სიტუაციები, რომლებიც დგინდება ქონების დაზღვევისას, გამოითვლება სადაზღვევო რისკის ხასიათით და ბუნებით. თუმცა, მხოლოდ ერთი ფაქტის: დაზიანების, დაღუპვის, ძარცვის, არსებობა არ კმარა იმისთვის რომ, მზღვეველმა ვალდებულები შეასრულოს, ანუ რომ გადაიხადოს სადაზღვევო საზღაური. ამასთან, დამზღვევსაც არა აქვს უფლება, მოითხოვოს ასეთი ანაზღაურება. ამისათვის საჭიროა დაზიანების, დაღუპვის, გამარცვის გარკვეული ეკონომიკური და იურიდიული შედეგების დადგენა, ანუ მიყენებული ზარალის ან დანაკლისის გაანგარიშება.

ზარალი ანუ დანაკლისი არის ის მატერიალურ-ქონებრივი ინტერესი, რომელზეც დაზღვევა მოქმედებს. მაგალითად სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დამზღვევმა არ მიიღო ზარალის ოდენობა, ანუ არ დაირღვა დამზღვევის ქონებრივი ინტერესი, მაშინ არ არის სადაზღვევო ანაზღაურების საჭიროება. ასევე უარის თქმის საფუძველი მზღვეველის მხრიდან, სადაზღვევო საზღაურის დაფარვაზე შესაძლოა მივიღოთ მხოლოდ მაშინ, როცა დამზღვევის ზარალის ანაზღაურება და დაფარვა იმ პირისაგან განხორციელდა ვინც ზიანი მიაყენა დამზღვევის ქონებას.

ქონების დაზღვევის წესებში მზღვეველი ხშირად გვაწვდის პირობას, კონკრეტულად კი ზარალის დამატებით კომპენსაციაზე. მაგალითისთვის ავიღოთ, დამზღვევი, რომელმაც შეიძლება განიცადოს დამატებითი დანაკლისები მოსალოდნელი

შემოსავლების დაკარგვისას, რისი მიზეზი შეიძლება იყოს საწარმოო დანადგარების, ელექტრო-გამოთვლითი ტექნიკის წყობრიდან გამოსვლა სტიქიური უბედურებების ან სხვა სადაზღვევო შემთხვევების გამო.

ქონების დაზღვევის ობიექტიც და სუბიექტიც დამზღვევის განკარგვაში არსებული ქონება გახლავთ ან თუნდაც მისი მისი გარკვეული ნაწილი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქონების დაზღვევა მოიცავს ფიზიკური და იურიდიული პირების ფაქტიურად ყველა სახის ქონებას: შენობები, ნაგებობები, მანქანები, დანადგარები, ნედლეული, ნავთობი, სატრანსპორტო საშუალებები, ტვირთები, სასოფლო-სამეურნეო ნათესები, საქონელი, საოჯახო მოხმარების ნივთები და ა.შ.

ქონების დაზღვევაში მოსალოდნელი რისკები შესაძლებელია გახდეს: ხანძარი, მეხის უეცარი დაცემა, აფეთქება, სტიქიური შემთხვევით გამოწვეული უბედურებები: წვიმა, სეტყვა, მიწის ძვრა, ზვავი, წყალ დიდობა, წყალ მოვარდნა, გრიგალი, ქარიშხალი, მეწყერი, ქურდობა, ყაჩაღობა, სხვადასხვა პირთაგან ბოროტგანზრახული ქმედება, ავტომობილთა შეჯახება.

სადაზღვევო ურთიერთობების დამკვიდრებისა და შექმნის საფუძველს წარმოადგენს სადაზღვევო კონტრაქტი იგივე ხელშეკრულება. ხელშეკრულება ფორმდება როგორც ასეთი ნებაყოფლობითად და ასევე სავალდებულო-აუცილებელი დაზღვევისთვისაც, ოღონდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ხელშეკრულების გაფორმება არის დამზღვევის მოვალეობა.

ქონების დაზღვევის კონტრაქტის, ხელშეკრულების მიხედვით, ერთი მხარე (მზღვეველი) კონტრაქტში განსაზღვრული თანხით (სადაზღვევო პრემიით) იკისრებს საკუთარ თავზე ვალდებულებას, კონტრაქტით გაწერილი ვითარების (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომისას დაუბრუნოს და დაუფაროს მეორე მხარეს (დამზღვევს ან სხვა პირს, ვის სასარგებლოდაც არის დადებული ხელშეკრულება) ამ კონკრეტული შემთხვევის დადგომის გამო დაზღვეულ მატერიალურ ქონებაზე მიმდგარი ზიანის ან სხვა ქონებრივი ინტერესების ზარალი (ანუ გადაუხადოს სადაზღვევო საზღაური) ხელშეკრულებაში განსაზღვრული თანხის ფარგლებში.

ხელშეკრულებაში ასევე შეიძლება დასახელდეს მესამე პირი - სარგებლის მიმღები. ამასთან ერთად, სარგებლის მიმღებს აუცილებლად უნდა გააჩნდეს დაზღვეული ქონების უსაფრთხოების კანონიერი დაინტერესება, ანუ საფუძვლიანი. ინტერესის კანონიერება ამ შემთხვევაში გულისხმობს, რომ დამზღვევს (ან სარგებლის მიმღებს) აქვს კანონიერი უფლებები ამ დაზღვეულ ქონებაზე, ანუ განკარგავს და მფლობელიც არის, ამასთანავე სარგებლობს კიდევ, კანონის საფუძველზე.

ქონების დაზღვევის კონტრაქტი აუცილებლად იდება წერილობითი ფორმით, ანუ ფურცელზე. ასეთი ხელშეკრულების ნოტარიალური დამოწმება-დადასტურება, არ არის აუცილებელი.

კონტრაქტის მოქმედების ვადა, ჩვეულებისამებრ იწყება მთლიანი თანხის ან თუნდაც განვადების შემთხვევაში, პირველი შენატანის გადახდის შემდეგ. მოქმედების ვადამ შეიძლება შეადგინოს 2 თვიდან 1 წლამდე. თუ ხელშეკრულება იდება 1 წლამდე ვადით, ამ შემთხვევაში სადაზღვევო შენატანები, როგორც წესი, გადაიხდება წლიური თანხის 10%-ის ოდენობით დაზღვევის თითოეულ თვეზე.

დაზღვევა, მარტივად რომ ვთქვათ როგორც ეკონომიკური ურთიერთობების სისტემა, უკავშირდება სადაზღვევო ვალდებულებების სხვადასხვა კონკრეტულ ობიექტ-სუბიექტებს და ასევე მათი საქმიანობის სფეროს ორგანიზაციულ ფორმებსა და სამართლებრივ წესებს. იმისთვის, რომ განხორციელდეს სადაზღვევო-მატერიალური ურთიერთობის მრავალფეროვნების გაკონტროლება და შეიქმნას საერთო სისტემა ანუ ერთიანი წრე, მიმართვენ დაზღვევამ კლასიფიკაციის მეთოდს.

დაზღვევის კლასიფიკაცია გახლავტ მეცნიერულ-ტექნოლოგიური სფერო, რომელიც დაზღვევას ანაწილებს სხვადასხვა მოქმედების არეალებად, დარგებად, ქვედარგებად და სახეებად, რომელთა სფეროებიც განაწილებულია ისე რომ, ყოველი შემდგომი გახლვთ წინა რგოლის შემადგენელი ნაწილი და მის ლოგიკური გაგრძელებაც და დასასრულიც. დაზღვევის კლასიფიკაციის საფუძვლი გახლავტ ორი ძირითადი დებულება: დიფერენციაცია დაზღვევის ობიექტ-სუბიექტებსა და სადაზღვევო ვალდებულებების მოცულობას შორის.

უფრო კონკრეტულად და ვიწრო განმარტებით დაზღვევის კლასიფიკაცია, ერთი შეხედვით განარჩევს დამზღვევებს თავიანთი საქმიანობის მიხედვით, ხოლო მეორე მიდგომით ასევე განარჩევს სადაზღვევო ვალდებულების მოცულობისა და დაზღვევის განხორციელების ფორმატის მიხედვით.

დაზღვევაში დარგებად დაყოფის საფუძვლიანია; დასაზღვევ ობიექტებს შორის პრაქტიკულ-თეორიული სხვაობა, მაგრამ ამავედროულად დაზღვევის დარგებად დაყოფა დღემდე არ იძლევა კონკრეტული ინტერესის გამოვლენის უფლებას, რის გამოც დაზღვევა ხორციელდება.

ამ ინტერესების დასაზუსტებლად დარგები დაყოფილია ქვედარგებად, რომელთა გაერთიანებაც უნდა მოხდეს კონკრეტულ საქმეებში განსხვავებული თავისებურების მქონე სახეებად. დაზღვევის ქვედარგი წარმოადგენს, როგორც მიმსგავსებული ისევე მონათესავე სფეროებისა და მათთან კავშირში მყოფი ქონებრივი ინტერესების დაზღვევის გაერთიანებას, მათთვის იდენტური სადაზღვევო რისკებით. ქვედარგების სახეებად დაყოფისას ხორციელდება დაზღვევის საგნის გამორკვევა. პასუხისმგებლობის მოცულობისა განსაზღვრა და ტარიფის განაკვეთის გამოთვლა.

დაზღვევის ობიექტების მახასიათებლებიდან გამომდინარე, კარგი იქნება თუ მოვახდენთ დიფერენციაციას დაზღვევის დანაწილებას ოთხ დარგად:

- ქონების დაზღვევად;
- პირად დაზღვევად;
- პასუხისმგებლობის დაზღვევად;
- ეკონომიკური რისკების დაზღვევად;

ქონებრივი დაზღვევა განიმარტება, როგორც დაზღვევის სახეობა, სადაც სამართალეზრივი თანამშრომლობის ობიექტის პოზიციაზე დგას ქონება სხვადასხვა სახისა თუ ფორმის. მის ეკონომიკური მიზანს სწორედ ზარალის ანაზღაურება წარმოადგენს, რომელიც გაჩნდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისთანავე. როგორც ასეთი, დაზღვეული პირი შეიძლება გახლდეთ, როგორც პირის კუთვნილებაში, ასევე მის მფლობელობასა და განკარგვის ქვეშ არსებული ქონება. დამზღვევი შესაძლებელია

გახლდეთ, როგორც ქონების მესაკუთრე, ასევე სხვა იურიდიული-ფიზიკური პირი, რომელიც პასუხისმგებელია მის შენახვა-გაფრთხილებაზე.

ქონებრივი დაზღვევის კლასიფიკაციაში ძირითადი მომენტია იერარქიულად ერთმანეთთან დაუკავშირებელი საფრთხეების გამოყოფა:

- ქონების დაზღვევა ხანძრისაგან,
- სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევა გვალვისა და სხვა სტიქიური უბედურებებისაგან,
- პირუტყვის დაზღვევა სიკვდილიანობისაგან და იძულებითი დაკვლისაგან,

ეკონომიკური სამეწარმეო რისკების დაზღვევის დროს ჩვეულებისამებრ გამოიყოფა ორი განშტოება: დაზღვევა პირდაპირი და ირიბი ზარალისა.

პირდაპირ ზარალს მიეკუთვნება მაგალითისთვის: მოგების მთლიანად არმიღებითა გამოწვეული ზარალი, სევე მასალებისა დაგვიანებით, გაფიცვებითა თა ბუნტებით და სხვა ობიექტური მიზეზების გამო დანადგარების გაჩერებით გამოწვეული ზარალი.

ირიბი ზარალი გვეუბნება წაგებული მოგების, საწარმოს გაკოტრებისაგან დაზღვევას და მსგავს ვითარებებს.

არსებობს სადაზღვევო კონტრაქტის რამოდენიმე სახეობა. იმ სახეობების დაზღვევაში, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქის სიცოცხლესთან, ჯანმრთელობასთან, შრომისუნარიანობასთან, ფორმდება პირადი დაზღვევის კონტრაქტი. როდესაც შევხებით ინტერესების დაზღვევას, რომელიც დაკავშირებულია ქონების ფლობა-გამოყენებასთან ან თუ განკარგვასთან, ფორმდება ქონების დაზღვევის ხელშეკრულება, ხოლო უცხო პირებზე მიყენებული ზარალის გადახდის დროს - პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება.

ქონების დაზღვევის კონტრაქტის თანახმად ერთი მხარე (მზღვეველი) ხელშეკრულებაში მითითებული თანხით (სადაზღვევო პრემიით) ვალდებული ხდება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მდგომარეობის (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომისთანავე დაუფაროს მეორე მხარეს (დამზღვევს ან სხვა პირს, ვის

სასარგებლოდაც არის დადებული ხელშეკრულება) ამ შედეგიდან გამომდინარე დაზღვეულ ქონებაზე მიყენებული ზიანის ან სხვა ქონებრივი ინტერესების ზარალი (ანუ გადაუხადოს სადაზღვევო საზღაური) ხელშეკრულებაში მიტითებული თანხის არეალში.

ქონების დაზღვევისას, კონტრაქტი ფორმდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის ინდივიდუალურად ან შუამავლების მეშვეობით (სადაზღვევო აგენტების და სადაზღვევო ბროკერების დახმარებით). ნებისმიერ შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეები იქნებიან თვითონ მზღვეველი და დამზღვევი. დამზღვევის სახით ქონების დაზღვევაში შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელსაც დაზღვეული ქონების უსაფრთხოების კანონიერი ინტერესი აქვს. მზღვეველის როლში გვევლინება სადაზღვევო ორგანიზაცია, რომელსაც შესაბამისი ლიცენზია გააჩნია.

ხელშეკრულებაში ასევე შეიძლება დასახელდეს მესამე პირი - სარგებლის მიმღები. ამასთან ერთად, სარგებლის მიმღებს უნდა გააჩნდეს დაზღვეული ქონების უსაფრთხოების სამართლებრივი, საფუძვლიანი ინტერესი. ინტერესის კანონიერება ამ შემთხვევაში გულისხმობს, რომ დამზღვევს (ან სარგებლის მიმღებს) აქვს კანონიერი უფლებები ამ დაზღვეულ ქონებაზე ანუ ფლობს, სარგებლობს და განკარგავს ქონებას კანონის საფუძველზე.

სადაზღვევო ინტერესის კანონიერების შეუსრულებლობა ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველია. მზღვეველმა, ისევე, როგორც სარგებლის მიმღებმა, უნდა დაამტკიცოს თავისი სადაზღვევო ინტერესი დოკუმენტებით (საკუთრების უფლება მოცემულ ქონებაზე). ეს შეიძლება იყოს მოწმობა საკუთრების უფლებაზე, მოწმობა მემკვიდრეობის უფლებაზე, არენდის ხელშეკრულება და ა.შ.

თუ ხელშეკრულება ფორმდება ზოგადად მესამე პირის (სარგებლის მიღების) სახეიროდ, სრულლიად არ არის სავალდებულო მესამე პირის სხვადასხვა პერსონალური ინფორმაცია. ასეთი ხელშეკრულების მიხედვით უფლებების განსახორციელებლად აუცილებელია სადაზღვევო კომპანიას წარედგინოს დაზღვევის პოლისი. დამზღვევს შეუძლია გადასცეს პოლისი ნებისმიერ პირს, თუკი ხელშეკრულებაში კონკრეტულად არავინაა მითითებული. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ამ მესამე პირს უნდა ჰქონდეს

სადაზღვევო ინტერესი დაზღვეულ ქონებაზე და სადაზღვევო პოლისთან ერთად მან მზღვეველს უნდა წარუდგინოს ის დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ მის უფლებას ქონების ფლობაზე (ან სარგებლობაზე).

თავი მეორე. ქონების დაზღვევის სახეები

2.1. დაზღვევა ხანძრისაგან და მესამე პირთა ბოროტგანზრახული ქმედებებისაგან

ხანძრისგან დაზღვევა ჩვეულებისამებრ გარანტიას გვაძლევს ზარალის აღდგენის თაობაზე, რომელის მიყენებაც ხორციელდება დაზღვეულ ობიექტზე. ამ კონკრეტულ სიტუაციაში სიტყვა ხანძარი მოიზრება იგივენაირად როგორც ცეცხლი, რომელიც აზიანს ქონებას, საზოგადოების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ხალხისა და ქვეყნის ინტერესებს.

ხანძრისაგან დაზღვევის კონტრაქტში გათვალისწინებულია ჩვეულებისამებრ, ქონებაში ხანძრის გაჩენის ისეთი პირობები, რა მიზეზით შეიძლება გაჩნდეს ხანძარი, მაგალითად: მეხი, აფეთქება და სხვა წარმოებითი და ყოველდღიური მიზეზები.

ხანძრისაგან დაზღვევისას, დაზღვევას ექვემდებარება მხოლოდ სადაზღვევო ქონება, რომლის ლოკაცია ჩაწერილია და მითითებულია სადაზღვევო პოლისში. ეს ქონება შეიძლება იყოს: სამეწარმეო საქმიანობისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობანი; საცხოვრებელი ბინები; სააგარაკო სახლები, ოფისები, სასტუმროები, სამეწარმეო, ტექნოლოგიური და სხვა სახის მოწყობილობები (დანადგარები), სახლში არსებული ქონება, ნედლეული და მასალები; საქონელი საწყობში; საგამოფენო ექსპონატები.

ხანძრისაგან დაზღვევა სუყველა სახეობის ზარალს ვერ ფარავს. კომპანიები, ჩვეულებრივ, არ ფარავენ ზარალს, თუ ხანძარი გაჩნდა დამზღვევის გამო (მაგალითად, დასაწყობებული პროდუქტების, მასალების ცეცხლის შესაძლებელი წარმოქმნის ადგილას მოთავსება). ასევე არ იფარება ცეცხლისგან წარმოქმნილი ზარალი, რომელიც მიიღება სამხედრო ვითარების გამო, სამოქალაქო გადატრიალებისას, რადიაციისას, ასევე თუ სადაზღვევო შემთხვევა დაფიქსირდა დაზღვეულის ტერიტორიის გარეთ,

მაგრამ ამ ვითარების შედეგად ზარალი მიაღწა დაზღვეულ ქონებას, ამ პირობებშიც ზარალი არ დაიფარება.

ხშირად, ხანძრისაგან დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას წარმოიქმნება სიტუაციები, როდესაც დამზღვევს და მზღვეველს არ შეუძლიათ საკმარისად ზუსტად განსაზღვრონ ქონების ნამდვილი ღირებულება (მაგალითად, დროებითი სასაქონლო მარაგების, მასალების, ნახევარფაბრიკატების, რომლებიც განკუთვნილია გადამუშავებისათვის და სხვ.). ასეთ სიტუაციაში ორივე მხარე თანხმდებიან სადაზღვევო ქონების წინასწარ შეფასებაზე, რომლის შესაბამისად განისაზღვრება სადაზღვევო პრემია. სადაზღვევო ვადის განმავლობაში დამზღვევი (ყოველთვისურად, კვარტალურად) ატყობინებს სადაზღვევო კომპანიას მონაცემებს ქონების არსებული ღირებულების შესახებ, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა დაზღვევაზე ადექვატური ფულადი შესატანების და შესაძლო ზარალის ანაზღაურებისთვის.

დაზღვეული ქონების ღირებულება შეიძლება შეიცვალოს სადაზღვევო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში. ჩვეულებრივ, ქონების ღირებულება ხშირად იცვლება, მაგალითად, საცხოვრებელ ბინაში რემონტის ჩატარების ან რეკონსტრუქციის შედეგად, წარმოების მოდერნიზაციით, მოწყობილობების შეცვლით ან ინფლაციის შედეგად ქონების ფასების ზრდით და ა.შ. სადაზღვევო შეთანხმებით (კონტრაქტით) შეიძლება გათვლილი იყოს კონკრეტული რისკი, რომელიც უკავშირდება მხოლოდ ინდივიდუალურ მოვლენასა თუ ზარალის დადგომის კონკრეტულ შედეგებს. ეს ნიშნავს, რომ შეთანხმებაში დაფიქსირებული რისკით მიყენებული ზარალის შემთხვევა არ ჩაითვლება სადაზღვევო შემთხვევად. მაგალითად, თუ სადაზღვევო შეთანხმებაში რისკის ფაქტორად აღნიშნულია: „ქურდობა სახლში შეღწევით“, მაშინ ქურდობა, რომელსაც ადგილი ექნება დამზღვევის ცხოვრებაში სახლში შეღწევის გარეშე, არ დაფიქსირდება სადაზღვევო შემთხვევად.

ქონების დაზღვევა ხორციელდება დაზღვეული ობიექტის ლოკაციის მიწერითა და დაკონკრეტებით ან სრულებიტაც მის გარეშე. პირველ შემთხვევას მიეკუთვნება შემდეგი რისკები: ქურდობა სახლში, შენობაში და საცავში შეღწევით“, „ყაჩაღობა

სადაზღვევო ტერიტორიის საზღვრებში“ და სხვ. ქონების არსებობა გარკვეულ ტერიტორიაზე ავალდებულებს მზღვეველს, დათვალოს, დაიანგარიშოს რისკის ხარისხი და, აქედან გამომდინარე, დადოს საბოლოო პრემიის რაოდენობა და მოცულობა, გაატაროს პრევენციული ზომები და სხვ. მეორე შემთხვევა კი უფრო იშვიათია და ჩვეულებრივ ეხება სადაზღვევო ქონებას, რომელიც ტრანსპორტირების დროს ხდება. (ხშირად სადაზღვევო ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია რისკი, რომელიც დაკავშირებულია ძარცვასთან ტვირთის გადაზიდვების (ტრანსპორტირების) დროს. სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის შემდეგ დამზღვევი ვალდებულია შეატყობინოს მომხდარზე შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს და გადასცეს მათ გატაცებული ქონების ჩამონათვლის სია.) მაგალითად იმ შემთხვევაში როცა დაკარგული ქონება სადაზღვევო შემთხვევის შემდგომ მოძიებული შეგვხვდება და სადაზღვევო ანაზღაურების ჩარიცხვამდე დაუბრუნდება მფლობელს, მსგავს დაუზიანებელ პირობებში, მაშინ მზღვეველის მიერ ანაზღაურება არ განხორციელდება. მაგრამ იმ შემთხვევაში როცა ქონების დაბრუნება ხდება სადაზღვევო ანაზღაურების ჩარიცხვის შემდეგ, მაშინ დამზღვევი პასუხისმგებელია დაუბრუნოს კლიენტს მისმიერ მითებული სრული თანხა.

2.2. სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა

ტრანსპორტის დაზღვევა საკმაოდ პოპულარულია რეალურ სიტუაციაში. დაზღვევის ობიექტები შეიძლება გახდეს:

- ავტო სატრანსპორტო საშუალებები (სათანადოდ დარეგისტრირებული) (სპეციალური ავტომობილები, ავტომობილები, სატვირთო ავტომობილები, ტრაილერები (TIR), მოტოციკლები, მიკრო და სატვირთო ავტობუსები, ჩვეულებრივი ავტობუსები და სხვა;)
- საწყალოსნო სატრანსპორტო საშუალებები - (ნავები, კატერები და გემები) (იალქნიანი, ძრავიანი).

ავტო ტრანსპორტთან ერთად შესაძლოა დავაზღვიოთ, დამატებითი ცალკეული მოწყობილობა-ნაწილები, რომლებიც შეიძლება სრულიადაც არ მოყვებოდეს ქარხნულ ნაწარმს, ეს არის: აკუსტიკური მოწყობილობები, ავტომაგნიტოლა, კოსმოსური ან სატელიტური ანტენები, ცენტრალური სიგნალიზაციის მექანიზმი და სხვა.

სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის კონტრაქტი ფორმდება 1 წლის ვადით ან 2-დან 11 თვემდე, ხოლო სატრანზიტო სადაზღვევო ხელშეკრულების ვადა განსაზღვრულია 30 დღით.

სადაზღვევო შემთხვევის მიღწევისას ზარალი განისაზღვრება კერძო შემთხვევებში და სხხვადასხვა მიმართულებებით კერძოდ:

- სატრანსპორტო საშუალების ძარცვა-გატაცება: ანაზღაურდება მისი თვითღირებულებიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია ცვეთის ხარჯებიც.
- სატრანსპორტო საშუალების მოსპობა-განადგურება: დაიფარება მხოლოდ მისი თვითღირებულების მიხედვით რა თქმა უნდა ცვეთის ხარჯების

გათვალისწინებით, მაგრამ არ დაიფარება იმ ნაწილების ღირებულება რაც მთელ მდგომარეობაში შემორჩა.

- სატრანსპორტო საშუალების დაზიანება-დეფექტი: დაიფარება მხოლოდ რემონტისა და შეკეთების ხარჯები (იმ დეტალების გამოკლებით, რაც ვარგისია გამოყენებისთვის), ამასთანავე ანაზღაურდება ახალი ავტო ნაწილების ღირებულება. ასევე ავტო კატასტროფაში მოყოლილი ხალხის ჯანმრთელობისა და გადაუდებელი დახმარების ხარჯები. ასევე ანაზღაურდება ავტომობილის მიტანა ევაკუატორის გამოყენებით უახლოეს სარემონტო ცეხამდე. სატრანსპორტო საშუალების დაზრვევისასაც იყენებენ ფრანშიზას.

სატრანსპორტო საშუალებისთვის და დამატებითი მოწყობილობებისთვის სადაზღვევო შემთხვევად ითვლება ხელშეკრულების მოქმედების ვადებში მომხდარი, მოულოდნელი და არაორგანიზებული შემთხვევები, რომლის შედეგია სატრანსპორტო საშუალების დაზიანება ან დაღუპვა.

სადაზღვევო საზღაური გადაიხდება კონტრაქტით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას და განიხილება სადაზღვევო თანხის არეალში. სადაზღვევო თანხის განსაზღვრა კი ხდება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის სატრანსპორტო საშუალების რეალური ღირებულებიდან გამომდინარე.

2021 წლისთვის ავტოტრანსპორტის დაზღვევა საქართველოში საჭირო და ამავდროულად სავალდებულო გახდება. ავტომანქანების პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების, ერთ-ერთი ვალდებულებაა, ქართული საზოგადოებისთვის ყოველი ასეთი სიახლე მიუღებელია ხარჯების გამო, მაგრამ მეორეს მხრივ სავალდებულო დაზღვევა ხელსაყრელი იქნება ყოველივე მათგანისთვის, ეს ასევე ხელს შეუწყობს კორუფციასაც და მრავალი ავტოსაგზაო ინციდენტის საპატრულო პოლიციისგან დამალვას, რაც დიდ პრობლემას წარმოადგენს დღევანდელ რეალობაში. ამ გადაწყვეტილებით მატერიალურ სარგებელს ნახავს როგორც სადაზღვევო კომპანიები, ასევე საზოგადოება, მიმაჩნია რო სახელმწიფომ

სუბსიდირებაც უნდა გააკეთოს საწყის ეტაპზე, რათა საზოგადოების ცოდნის და გარკვევადობის დონე ამაღლდეს, რომ მიხვდნენ რაში მოუწევთ ფულის გადახდა მომავალში, ამაში სახელმწიფოს მედია და ონლაინ საშუალებები საკმაოდ გამოადგება. ევროკავშირის ამ კონკრეტულ გამოწვევაზე შესრულების ვადაც საქართველოს 2021 წლისთვის აქვს, მაგრამ ეს ვადები კოვიდ 19-ის გამო შეიძლება გადავადებას დაექვემდებაროს.

მომსახურების აღნიშნული სახე დღესაც არსებობს საქართველოს ბაზარზე, თუმცა ამ მომსახურებიტ სარგებლობს საზოგადოების დაახლოებით 27%, რაც საკმაოდ მცირე რაოდენობაა და ნიშნავს, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დაუცველია, იმ მაღალი რისკისგან, რასაც ავტოავარიების დიდი რაოდენობა იწვევს.

2018 წლის მარტიდან საქართველოში შემოვიდა ახალი ნორმა, რომლის მიხედვითაც, საზღვარგარეთ ქვეყანაში რეგისტრირებული ავტომობილის მფლობელი ვალდებულია დააზღვიოს მანქანა საქართველოში შემოსვლისთანავე, მთელი მისი აქ ყოფნის პერიოდში. კანონის ამოქმედებიდან, ჩვენს ქვეყანაში შემომავალ ყველა ავტომობილის მძღოლს დაზღვევის აუცილებლობის საკითხი შექმნებათ. ამის სანაცვლოდ კი, როდესაც მძღოლები საქართველოს საზღვარს გადმოკვეთენ და თუ რაიმე სახის დაზიანებას მიიღებენ, მაგალითად ქონების ან ტურისტის სიმართელის ზიანს, ყველა ამ დანახარჯს სადაზღვევოები აუნაზღაურებს. რაც შეეხება შემოსავლებს ამ სფეროდან, (დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურში) ზუსტ რიცხვს არ ასახელებს, რადგან ზემოთმოხსენიებული პოლისის ფასზეა პირდაპირ პროპორციულად დამოკიდებული, რაც ჯერ კიდევ დასაზუსტებელია და ყოველდღიური განვითარების ქვეშაა. კანონზე მიმაგრებული გუნდი კი ამ მიმართულებით სხვადასხვა ვარიანტს განიხილავს და ყველაზე ეფექტურს ახლო მომავალში მოგვაწვდის. როცა საზღვარგარეთ დარეგისტრირებული ავტომობილი გადმოვა ან გავა საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებში ვალდებული გახდება, საზღვართან ახლოს მოქმედ ოფისებში შეიძინოს სადაზღვევო პოლისი. ამ კანონით საქართველოს სახელმწიფომ საკმაოდ კარგ შემოსავალს მიიღებს. ესტონეთშინაცადი მეთოდია, რომელიც საკმაოდ

გამართლებულია, დაახლოებით მათი ანალოგიტ შემოგვაქვს აწყობილი სისტემა. სავალდებულო დაზღვევის ცენტრი დაარსდა საქართველოში არსებული ყველა სადაზღვევო კომპანიის წევრების მიერ. მათი მთავარი ამოცანაა საქართველოში სადაზღვევო კულტურის განვითარება სადაზღვევო ბაზრის გაზრდა და დაზღვევის სოციალური სიკეთის მოსახლეობამდე მიტანის ხელშეწყობა, ზუსტად ეს არის ჩვენი პრობლემა, სიახლეების მიღება, ყველაფერ ახალს საზოგადოება სკეპტიკურად უყურებს, ალბათ ეს საკითხთან მიმართებაში განათლების დონეზე მეტყველებს, მაგრამ ეს პატარა პრობლემა მოგვარებადია თუ მედია და სახელმწიფო ერთობლივი ძალისხმევით, კანონების, ახალი ამბებისა და სტატიების გამოყენებით მიაწვდის სიახლეს და მის სოციალურ სიკეთეს მარტივად დაანახებს მათ.

2.3. ტვირთების დაზღვევა

ტვირთის დაზღვევის პროცედურები: დაზღვევაში ყველზე საპასუხისმგებლო და ძვირად ღირებული სახეობაა. უძველესი დროიდან მოყოლებული არსებობს ტვირთის დაზღვევა-გადაზღვევა, რადგან პროდუქციისა და სხვა ფასეულობების გადატანას ერთი კონკრეტული წერტილიდან დანიშნულების ადგილამდე თან ახლავს მრავალი სახის საფრთხე, ძველად კი მოგეხსენებთ რამდენად პოპულარული იყო ვჭრობა თუნდაც საზღვაოსნო გინდაც სახმელეთო ქარავნების მეშვეობით. ყველაზე მარტივი მაგალითია აბრეშუმის გზა.

დღესდღეობით ტვირთის დაზღვევა-გადაზღვევა უშუალოდ დაკავშირებულია რთული და გაურკვეველი კომერციული საქმიანობის სახეობებთან,

მაგალითად პირველ რიგში ავილთ, მსოფლიოს სატრანსპორტო გადაზიდვები.

სატრანსპორტო გადაზიდვების ბაზრზე ძირითადი მოტამაშეები და წარმომადგენლები გახლავთ:

- ტვირთის გადამგზავნი ანუ გამცემი: შეიძლება იყოს, როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირიც, რომელიც გაგზავნას ახორციელებს თავისი კუთვნილების ქვეშ არსებულ ტვირთს, „ა“ პუნქტიდან მეორე „ბ“ პუნქტში.
- ტვირთის მიმღები-ჩამბარებელი: შესაძლოა იყოს, როგორც ფიზიკური ისევე იურიდიული პირიც, რომელიც ცალკურვითაა ამ ტვირთის მიღების უფლებით, რა თქმა უნდა დანიშნულების ადგილზე მეორე „ბ“ პუნქტში.
- გადამგზავნი (მებორნე, მეფრახტე, მენავე) - შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირიც (უმეტეს შემთხვევებში სატრანსპორტო ორგანიზაცია), ჩვეულებისამებრ მათ მფლობელობაშია სატრანსპორტო საშუალებები ან ქირაობს მათ. მათი მოვალეობაა მიაწოდოს გამომგზავნის

მიერ მიცემული ტვირთი „ა“ პუნქტიდან „ბ“ პუნქტში და მიაწოდოს ტვირთის მიწოდებაზე უფლებამოსილ პირს, რაც შეეხება ტრანზიტის სიტუაციას მიიტანოს სხვა სატრანსპორტომდე.

დღეს საკმაოდ დიდ როლს თამაშობს ექსპედიტორი, რომელიც მთელი გადაზიდვის კოორდინირებას აკეთებს.

ტვირთების გადაზიდვის დროს ჩვეულებრივად ვაწდებიტ შემდეგ რისკებს: ტვირთის დაზიანებასა და განადგურებას, ძარცვა-დაღუპვას და დანიშნულების წერტილში არ მიტანას. გადასაზიდი ტვირთების თავისებურებების მიხედვით, ტვირთების დაზღვევა შეიძლება იყოს, ერთმანეთისაგან განსხვავებული, კერძოდ:

- გენერალური ტვირთების დაზღვევა, რომელშიც შედის სტანდარტულად შეფუთული ტვირთები, რომლებსაც არ სჭირდებათ გადაზიდვისთვის განსაკუთრებული პირობები;

- თხევადი, აალებადი, ცეცხლსაშიში, ფეთქებადი და სხვა ტვირთების დაზღვევა, რომელთაც სჭირდებათ ტრანსპორტირების განსაკუთრებული პირობები;

- „სპეციალური“ ტვირთების დაზღვევა, რომელშიც შედის ფერადი ლითონების, საბანკო ბანკნოტების, ქოინების დაზღვევა;

- სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დაზღვევა, ცხოველების დაზღვევა და სხვა.

ტრანსპორტირების მეთოდების მიხედვით ტვირთების დაზღვევა შეიძლება იყოს:

- ტვირთების სახმელეთო დაზღვევა - როცა გადაზიდვა ხდება სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტით;

- ტვირთების დაზღვევა საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვების დროს;

- საზღვაო გადაზიდვების დაზღვევა;

- ქვეყნის შიდა წყლებით გადაზიდვების დაზღვევა;

- კომბინირებული დაზღვევა;

- საფოსტო გზავნილების დაზღვევა.

სადაზღვევო შემთხვევები ტვირთების დაზღვევისას კლასიფიცირდება შემდეგ ნაირად:

- სტიქიური უბედურების შედეგი: (მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი, ზვავი და სხვა.) რისკები რომელიც განეკუთვნება გაუთვალისწინებელ მდგომარეობას, ძირითადად მზღვეველი პასუხისმგებელია მათ შედეგებზე: (დაზიანება, დაღუპვა და სხვა. მაგრამ ფიზიკურ-ქიმიური დაზიანებები არ ანაზღაურდება.)
- ადამიანის საქციელის შედეგი: რომელიც განისაზღვრება, როგორც რისკი, ზიანი, უცხო პირის მხრიდან. (ეს პირები გახლავთ ისინი ვინც, ახორციელებს ტვირთების გადაზიდვას: სატრანსპორტო ორგანიზაციის თანამშრომლები, თანამშრომლები რომლებსაც საერთოდ არ აქვთ გადაზიდვასთან კავშირი, მაგალითად ბოროტმოქმედები, ტერორისტები და სხვები.

სადაზღვევო ხელშეკრულების არსი იმაში მდგომარეობს, რომ გარანტირებული იყოს შემთხვევითი და გაუთვალისწინებელი ვითარებებისგან ტვირთის დაცვა, ამიტომ არ ანაზღაურდება ტვირთის დაზიანება ან დაღუპვა, რომელიც გამოწვეულია ტრანსპორტირების პირობების დაზღვევისას და არასწორი შეფუთვისას. ის რისკები, რომლებიც ანაზღაურდება მზღვეველის მხრიდან ან პირიქით, არ შედის სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ანაზღაურებაში, საკმაოდ ბევრია და განისაზღვრება მზღვეველისა და დამზღვევის ურთიერთშეთანხმებით.

არსებობს ტვირთის მთლიანი დაღუპვა (როდესაც მისი აღდგენა შეუძლებელია) და ფაქტიურად მთლიანი კონსტრუქციული დაღუპვა (როდესაც ტვირთი სრულად არ არის დაღუპული, მაგრამ მისი აღდგენისათვის საჭირო თანხა აჭარბებს ტვირთის ღირებულებას დაზიანებამდე).

სადაზღვევო საზღაურის გადახდის შემდეგ მზღვეველის ხელში გადადის რეგრესის უფლება, რომელიც დამზღვევს ჰქონდა იმ მესამე პირების მიმართ, რომლებიც ზარალის მიყენებაში იყვნენ დამნაშავენი. ყველა საკამათო საკითხები მზღვეველსა და დამზღვევის შორის გადაწყდება კანონმდებლობის საფუძველზე.

სადაზღვევო საზღაურის გადახდის შემდეგ მზღვეველის ხელში გადადის რეგრესის უფლება, რომელიც დამზღვევს ჰქონდა იმ მესამე პირების მიმართ, რომლებიც ზარალის

მიყენებაში იყვნენ დამნაშავენი. ყველა საკამათო საკითხები მზღვეველსა და დამზღვევის შორის გადაწყდება კანონმდებლობის საფუძველზე.

სატრანსპორტო საშუალების დაზღვევისას გაითვალისწინება მისი ნაწილობრივი ან მთლიანი განადგურება ავარიის ან სხვა საგზაო შემთხვევების შედეგად, რომლებიც შეიძლება გაპირობებული იყოს: მისი სხვა ტრანსპორტთან, ასევე მოძრავ ან უძრავ საგნებთან (ნაგებობა, წინაღობა, ფრინველები, ცხოველები და სხვ.) შეჯახებით; სხვა ტრანსპორტის საბურავებიდან ასხლეტილი ქვებითა და სხვა საგნებით, ტრანსპორტის მინების დაზიანებით და ა.შ.

ქონების დაზღვევა ხორციელდება დამზღვევის რეგულარული საცხოვრებელი ადგილსამყოფელის ჩაწერით. ქონების დაზღვევის ხელშეკრულება შესაძლებელია გაფორმდეს ორი კვირიდან თერთმეტ თვემდე, ან ერთი წვიდან ხუთ წლამდე ვადით. ქონება მხოლოდ მაშინ მიიღება დასაზღვევად როცა კლიენტი შეიტანს შენატანს. რომელიც ღირებულებით არ უნდა აღწრებდეს ქონების საბაზისო ფასს, მაგრამ ცვეთა არ შედის მისი გამოკლებით.

თავი მესამე. ქონების დაზღვევის ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

3.1. სადაზღვევო კომპანიების მიერ შეთავაზებული სადაზღვევო პაკეტები ქონების დაზღვევაში

ქვეყნის სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბებისა და კვლავწარმოების პროცესი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების აღდგენის შემდგომ იწყება. სრულყოფილი სადაზღვევო სისტემა საქართველოს ეკონომიკური სტაბილურობის ძირითადი საშუალებაა. ამ სფეროს სწორი ფუნქციონირების შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკა აღორძინდება და კაპიტალდაბანდების მაჩვენებელიც გაიზრდება, როგორც ქვეყნის შიგნიდან მოზიდული რესურსების გამოყენებით ასევე უცხოური ინვესტიციების დახმარებით, თუ ქვეყანაში სტაბილური სადაზღვევო სისტემა არაა იქ ინვესტორს ძალიან რთულად მოიზიდავთ.

1990-იანი წლიდან 1997 წლის ჩათვლით საქართველოში სადაზღვევო სისტემის არარსებობის წლებია. 1997 წელს პარლამენტმა შემოიღო ახალი კანონ-პროექტი (დაზღვევის შესახებ). დაიწყო სისტემის რეგულირებისა და კონტროლის პროცესი. ბაზარზე გვხვდება სატრანსპორტო მფლობელთათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა და სავალდებულო ხანძრისგან დაზღვევა.

უამრავი ხარვეზით და არაგონივრული, გაბერილი ფასებით (პირველ სახეობაში სულ მოზიდული იყო დაახლოებით 23 მლნ ლარი, ხოლო ზარალებზე გაცემული იყო დაახლოებით 4 მლნ ლარი, მეორეში – მოზიდული იყო დაახლოებით 23 მლნ ლარი, ანაზღაურებებზე გაიცა დაახლოებით 2,4 მლნ ლარი).

2016 წლის 31 დეკემბრიდან საქართველოში სადაზღვევო საქმიანობის განსახორციელებლად ლიცენზიის მსურველთათვის საჭირო ხდება წერილობითი დოკუმენტის წარდგენა, რომელიც მოიცავდა:

მზღვეველისათვის სადაზღვევო საქმიანობის გასაწევად, ნებისმიერ საფეხურზე, საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა განსაზღვრულიყო შემდეგი ოდენობით:

- ა) სიცოცხლის დაზღვევის მომსახურების გასაწევად - 2 200 000 ლარი;
- ბ) არასიცოცხლის დაზღვევის მომსახურების გასაწევად - 2 000 000 ლარი;
- გ) გადაზღვევის მომსახურების გასაწევად - 2 200 000 ლარი;

ხაზი მინდა გავუსვა, საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობის ცვლილებას, წლების განმავლობაში საქართველოში:

სიცოცხლის დაზღვევის მომსახურების გაწევისას:

- 1) 2 200 000 ლარი_ 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;
- 2) 4 200 000 ლარი_ 2018 წლის 31 დეკემბრის შემდეგ;
- 3) 7 200 000 ლარი_ 2020 წლის 31 დეკემბრიდან დღემდე (მიმდინარე);

არა სიცოცხლის დაზღვევის მომსახურების გაწევისას:

- 1) 2 000 000 ლარი_2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;;
- 2) 3 400 000 ლარი_2018 წლის 31 დეკემბრის შემდეგ;
- 3) 4 800 000 ლარის ოდენობით_2020 წლის 31 დეკემბრიდან დღემდე (მიმდინარე);

ცვლილება საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობის წლების განმავლობაში საქართველოში, საგრძნობლად შესამჩნევია, სავალდებულო თანხა საკმაოდ იზრდება ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ სადაზღვევო ბიზნესი წლების განმავლობაში საკმაოდ ვითარდება და პოპულარული ხდება, ამის გამო კონკურენტულ ბაზარზე შესვლისთვის საჭირო რესურსების ოდენობა წლების განმავლობაში უფრო და უფრო იზრდება.

სადაზღვევო საქმიანობის მსურველ კომპანიას წერილობითი დოკუმენტაციის წარდგენის მომენტიდანვე და ასევე მზღვეველს ამავე საქმიანობის განხორციელებისათვის ყველა ეტაპზე უნდა აღენიშნებოდეს ფულადი სახსრები, რა თქმა უნდა საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებებშიგახსნილ

ანგარიშებზე მინიმალური კაპიტალის 100%-ის ოდენობით.¹ საქართველოში სადაზღვევო ბაზარზე მოქმედი კომპანიებიდან ქვემოთ მოცემულია 6 ყველაზე წარმატებული კომპანია:

- სააქციო საზოგადოება „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“;
- სააქციო სსაზოგადოება „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“;
- შპს სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფი“;
- შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია „ირაო“;
- შპს სადაზღვევო კომპანია „აისი ჯგუფი“.
- სააქციო საზოგადოება „თიბისი დაზღვევა“

კომპანია ორგანიზაციებსაც სთავაზობს ქონების დაზღვევის სხვადასხვა პოლისებს:



¹ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2015 წლის 20 აპრილის ბრძანება N 04 „საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“.

ქონების დაზღვევის განვითარებისათვის საჭიროა უკვე განვითარებული ქვეყნებში არსებული პრაქტიკის გამოყენება. დაზღვევის სავალდებულო ფორმების შემოღება, გამოიწვევს ამ სფეროს პოპულარიზაციას და ხლხიც უფრო მომზადებული და გათვითცნობიერებული შეხვედბა სიახლეს, რაც გამოიწვევს ინვესტორების დაინტერესებას.

3.2. სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის სტატისტიკური ანალიზი ქონების დაზღვევის მიმართულებით

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ფუნქციონირებდა ჩვიდმეტი სადაზღვევო ფირმა, თექვსმეტი მათგან განაგებს სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას, ხოლო ერთი დარჩენილი, მხოლოდ არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას, მათ მიერ მოზიდული ჯამური სადაზღვევო პრემიის მოცულობა 164,39 მილიონ ლარს შეადგენს. 2003 წელს მოქმედებდა 25 სადაზღვევო კომპანია, ხოლო 2018 წელს – 17, რაც იმას ნიშნავს, რომ მიმდინარეობს სტაბილიზაციის და გამსხვილების პროცესი. კომპანიები ერთიანდებიან, თუმცა დახურვის შემთხვევაშიც ისინი ვალდებული არიან დაზღვეულის წინაშე მანამ, სანამ პოლისებს ვადები არ გაუვა.

სოციალური დაცვის სისტემა სავალდებულოა პოლონეთში და ის იცავს მოსახლეობას მათ წინაშე არსებული ფინანსური პრობლემებისაგან. ქვეყანაში აგრეთვე მოქმედებს პენსიონერების დაზღვევა და ინვალიდობის დაზღვევა, რაც იცავს პოლონეთის მოქალაქეებს საპენსიო ასაკში ან ქმედითუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში ფინანსური დანაკარგებისაგან. ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულებას გააჩნია დიდი პოტენციალი, რადგან ბოლო წლებში მკვეთრად იზრდება კერძო დაზღვევის მიმართულება. ბაზარი ხასიათდება ფართო მიმდებლობით ახალი სადაზღვევო პროდუქტების მიმართ, როგორც ლოკალურად, ასევე რეგიონში. ამას ხელს უწყობს აგრეთვე ის ფაქტი, რომ ბანკებს უკავიათ მნიშვნელოვანი ადგილი სადაზღვევო პროდუქტების გავრცელებაში.

ამრიგად, სადაზღვევო ინდუსტრია არის თანამედროვე გლობალური ბაზრის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. სადაზღვევო აგენტებს შეუძლიათ თითქმის ყველას და ყველაფრის დაზღვევა, რაც კი არსებობს.

პოლონეთის ბაზარზე ხდება ახალი პროდუქტების ჩამოყალიბება. ჯანმრთელობის პრობლემები და რისკი იზრდება ასაკის მატებასთან ერთად. შესაბამისად ამან შესაძლოა გამოიწვიოს ფინანსური პრობლემები ასაკში. ამიტომ, საჭიროა სადაზღვევო პოლისი,

რომელიც დაფარავს მკურნალობის ხარჯებს მოხუცებულობის პერიოდში. ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში დაიფარება: მედიკამენტების ხარჯები, ამბულატორიული მომსახურების ხარჯები, სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რენდგენის ხარჯები.

ნათლად ჩანს სადაზღვევო ბაზარზე გატარებული რეფორმების ეფექტურობა. თუმცა, ასეთი ზრდის მისაღწევად 20 წლიანი პერიოდი გახდა საჭირო, ამასთან გადამწყვეტი როლი ითამაშა უცხოური სადაზღვევო კომპანიების გამოცდილებამ და კაპიტალმა.

სადაზღვევო კომპანიის ფინანსური მდგრადობა არის შესაძლებლობა შეასრულოს მიღებული სადაზღვევო ვალდებულებები მის საქმიანობაზე მოქმედი არასასურველი ფაქტორებისა და კონიუნქტურის ცვლილებისას. ამ განმარტებაში ხაზი ესმევა მდგრადობას, დაბრუნდეს საწყის მდგომარეობაში, არასასურველი შემთხვევების დადგომის შემდგომ. გადახდისუნარიანობაში ასევე იგულისხმება სადაზღვევო კომპანიის უნარი შეასრულოს თავისი ვალდებულებები მთელი თავისი ქონებით.

სადაზღვევო კომპანიის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია ეკონომიკურად დამოწმებული სადაზღვევო ტარიფებით, სადაზღვევო რეზერვებით, გადაზღვევით, საკუთარი სახსრებითა და შემოსული გადაზღვევის ფირმის გადახდისუნარიანობა, რომელიც მარტივად გულისხმობს სადაზღვევო კომპანიის უნარს შეასრულოს თავის თავზე აღებული ვალდებულებები დროის ნებისმიერ მომენტში. მარტივად რომ ვთქვათ გადახდისუნარიანობა წარმოადგენს მის უპირობო უნარს შეასრულოს დაკისრებული ვალდებულება დამზღვევის ან დაზღვეული პირის მიმართ, სადაზღვევო ფასის ან სადაზღვევო შემოსავლის გადახდის შესახებ, დაზღვევის კონტრაქტის თანახმად. სადაზღვევო კომპანიის გადახდისუნარიანობა წარმოადგენს კონტროლის მთავარ ობიექტს დაზღვევის ზედამხედველობის ორგანოების მიერ. ასეთი გაკონტროლება მიმდინარეობს დადგენილი მაჩვენებლების შემოწმებისა და გათვალისწინების გზით.

ზოგადად, სადაზღვევო კომპანიის საქმიანობაზე მოქმედებს შიდა და გარე რისკები. გარე რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომელთა ზემოქმედება ვრცელდება სადაზღვევო ბაზრის ყველა მონაწილეზე. ეს რისკები შეიძლება იყოს ბუნებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური. ბუნებრივ რისკებში იგულისხმება სხვადასხვა სტიქიური უბედურებები. პოლიტიკური რისკები დაკავშირებულია პოლიტიკურ სიტუაციასთან ქვეყანაში. ხოლო ეკონომიკური რისკები წარმოადგენს მზღვეველის მიერ შესაძლო დანაკარგების საფრთხეს ფინანსური საქმიანობის პროცესში, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა ეკონომიკური მიზეზებით, კერძოდ ლიკვიდურობის, ინფლაციის, სავალუტო და სხვა რისკებით.

შიდა რისკებს წარმოადგენს რისკები, რომელთა წარმოქმნის საფრთხე ვრცელდება ბაზრის მხოლოდ კონკრეტულ ობიექტზე. ამ სახის რისკებს მიეკუთვნება რისკები დაკავშირებული არაკეთილსინდისიერ პერსონალთან, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან, მართვის სტრუქტურის არასრულყოფილებასთან და სხვა.

ცალკე შეგვიძლია გამოვყოთ რისკები დაკავშირებული სადაზღვევო საქმიანობასთან, რომელიც იყოფა თავის მხრივ ორ ჯგუფად: სადაზღვევო გარიგების საფუძველზე მიღებული რისკები და რისკები დაკავშირებული გარიგების მომსახურებასთან. ამ სახის რისკებს მიეკუთვნება: ანდერაიტინგის რისკი, არაეფექტური გადაზღვევის რისკი, სადაზღვევო პორტფელის მართვის რისკი და სადაზღვევო რეზერვების ფორმირებისა და ინვესტიციის რისკი.

მნიშვნელოვანია სადაზღვევო კომპანიებში მიმდინარე ცვლილებებიც. ერთ-ერთია ალდაგში განხორციელებული რეორგანიზაცია. კომპანიის სფეროები კონკრეტული კომპანიებმა გადაიბარეს. ზოგადად ძნელია მაღალი სიზუსტით სადაზღვევო კომპანია ალდაგის ზუსტი სტატისტიკური და ფინანსური მდგომარეობის გამოთვლა, თუმცა, ჯამურად სადაზღვევო ბაზარზე პირველ ადგილს იკავებს. 2018 წელს სადაზღვევო ბაზარს შეემატა ჰუალინგ დაზღვევა, რომელიც მომხმარებლებს აწვდის ყველაზე მარტივ და მოსახერხებელ სადაზღვევო პროდუქტებს, მათ მიმართულებას

წარმოადგენს ავტო, სამოგზაურო და პასუხისმგებლობის დაზღვევა. ჯერ ჯერობით ისინი განვითარების საფეხურზე არიან და ცდილობენ, რომ თავიანთი პაკეტი პირველ ეტაპზე ჰუალინგ ჯგუფის მომხმარებლებზე გაავრცელონ, შეღავათიან ფასებად, რათა გაჯერებულ ბაზარზე ფეხი მოიმაგრონ.

აისი ჯგუფმა საქართველოში, მრავალი ახალი პროდუქტი შემოგვთავაზა, რაც ჩვენი იმდროინდელი რეალობისთვის სიახლეს წარმოადგენდა. მათ შორის იყო ჯანმრთელობის დაზღვევაც, მანამდე კომპანია მხოლოდ კოლექტიური დაზღვევის მომსახურებით შემოიფარგლებოდა. მრავალი ახალი პროდუქტი გამოჩნდა ბაზარზე და მომსახურების ფასი ორმოცდათი ლარიდან იწყებოდა, ასევე შეთავაზებული იყო მობილური ტელეფონების დაზღვევაც: გატეხვისგან, დაკარგვისგან თუ სხვა ზიანისაგან, რომელიც ვრცელდებოდა საზღვარგარეთ ჩადენილ შემთხვევებზეც. ასევე ონლაინ მომსახურებასა და გაფორმებაზე გადავიდნენ. საინტერესო შეთავაზებას წარმოადგენს პლასტიკური ბარათების პატრონთათვის უკანონო გამოყენებისგან დაზღვევა. ასევე მფლობელის ქონების დაზღვევა, სასტუმროების დაზღვევა-გადაზღვევა, რომელიც პოპულარული იყო ხუთ ვარსკვლავიანი, მდიდრული სასტუმროებისთვის, და ახლა უკვე ყველასათვის ხელმისაწვდომი და საინტერესო გახდა. კომპანიის მიზანია კლიენტებს შესთავაზოს მრავალფეროვანი და მათზე მორგებული პროდუქტები.

სადაზღვევო კომპანია ალდაგი, კი ავტო დაზღვევის და ავტოსატანსპორტო საშუალებების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისებს ყიდის მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედოს“ ყველა ფილიალში მთელი საქართველოს მასშტაბით, რათა უფრო მეტად ხელმისაწვდომი იყოს მომხმარებლებისათვის სადაზღვევო პოლისის შეძენა.


აისი ჯგუფი მრავალფეროვან და ინოვაციურ სადაზღვევო პროდუქტებს სთავაზობს მოსახლეობას, მაგალითად როგორცაა ჰიბრიდულ-ელექტრონული მანქანების დაზღვევა, ეს კი ითვალისწინებს ეკოლოგიურად სუფთა გარემოს პოპულარიზაციას და ამის გამო ისინი მომხმარებლებს სთავაზობენ მაქსიმალურად შეღავათიან ფასებს.

სადაზღვევო ბაზრისთვის მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები – 2013 წლის შედეგების მიხედვით ლიდერმა კომპანია – „ალდაგი ბისიამ“ სტრატეგია შეცვალა და კომპანიის რეორგანიზაციით ბაზარზე რამდენიმე ბრენდით მუშაობა გაააქტიურა. დაზღვევის შედეგებშიც „ალდაგის“ ბრენდით ორი გრაფაა აღნიშნული: „ალდაგი (ძველი), რომელიც კომპანიის 2014 წლის 7 თვის შედეგებს მოიცავს; და „ალდაგი“, რომელიც უკვე რეორგანიზაციის შემდეგ არსებული კომპანიის შედეგებს აერთიანებს. „ალდაგის“ რეორგანიზაციამ ბაზრის ლიდერი კომპანიის შეცვლაც გამოიწვია. თუმცა, ეს ალბათ მხოლოდ ფორმლობაა, რადგან „ალდაგი“ ერთის ნაცვლად რამდენიმე პოზიციაზეა გადანაწილებული და ჯამში, მოზიდული პრემია კვლავ ამ კომპანიას აქვს ყველაზე მეტი. თუმცა, შედეგები ცალკეულ ბრენდებზეა გათვლილი და ამ მხრივ 2015 წლის მაჩვენებლებში კომპანია „ჯიპიაი“ ჰოლდინგი დაწინაურდა.


2016 წელს ზრდადი ტენდენცია უჭირავს და ბაზარზე კვლავ ლიდერობს სადაზღვევო კომპანია ალდაგი, 42,03%-იანი წილით. მეორე ადგილზე ჯიპიაი 23,74%-იანი წილით, მესამეზეა სადაზღვევო კომპანია ირაო 8,25%-იანი წილით, მეოთხეზე არდი - 7,56%, ხოლო მეხუთეზე აისი ჯგუფი - 5,71%. გაზრდილია ბაზარზე ყველა სადაზღვევო კომპანიის მიერ მოზიდული პრემია წინა წელთან შედარებით 4,32%-ით, გაზრდილია კომპანიების კონცენტრაცია 87,28%-ს შეადგენს, რაც საკმაოდ ცუდი ტენდენციის მაჩვენებელია და მიუთითებს ბაზრის მონოპოლიზებას.

სადაზღვევო კომპანიების მიერ ქონების დაზღვევაში მოზიდული პრემია დიაგრამა N3.2.1


ქონების დაზღვევის ბაზრის წილი მოზიდული პრემიის მიხედვით 2016 წელი



ქონების დაზღვევის ბაზრის წილი მოზიდული პრემიის მიხედვით 2017 წელი




ცვლილება ბაზრის წილში




2018 წელს 30 798 054 ლარით გაიზარდა ქონების დაზღვევის ბაზრის მიერ მოზიდული პრემია წინა წელთან შედარებით. გაზრდილია ხუთივე კომპანიის მიერ მოზიდული პრემია ნატურალურ მაჩვენებლებში, თუმცა, შემცირებულია მათი კონცენტრაცია 85,62%-მდე, რაც დადებითი ფაქტია და გამოწვეულია სხვა კომპანიების მიერ მოზიდული პრემიის მნიშვნელოვანი ზრდით. ეს ყველაფერი კი კონკურენტული პირობების გაუმჯობესებაზე მიუთითებს. ლიდერობს სადაზღვევო კომპანია ალდაგი

38,23%-იანი წილით. მისი წილი შემცირებულია წინა წელთან შედარებით, ეს გამოწვეულია ჯამური პრემიის ზრდით, რადგან ალდაგის მიერ მოზიდული პრემია გაიზარდა 8 437 431 ლარით წინა წელთან შედარებით. მეორე ადგილზეა ჯიპიაი ჰოლდინგი 23,89%-ით. მესამეზე ირაო 10,07%-ით, მეოთხეზე - აისი 7,8%-ით, ხოლო მეხუთეზე არდი 5,62%-ით.

ქონების დაზღვევის ბაზრის წილი მოზიდული პრემიის მიხედვით 2018 წელი




ქონების დაზღვევის ბაზრის წილი მოზიდული პრემიის მიხედვით 2019 წელი



ახლა განვიხილოთ კომპანიების მიერ ქონების დაზღვევაში მოზიდული პრემია. განვიხილოთ, რამდენად მიმზიდველია ის სადაზღვევო კომპანიებისათვის.

ქონების დაზღვევაში ყველა სადაზღვევო კომპანიის მიერ მოზიდული პრემია ჯამურად 2016-2019 წლებში ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, მხოლოდ 2016 წელს შეინიშნება კლება 4,1%-ით. თუმცა, 2017 წელს შემცირდა აღნიშნული 5 კომპანიის მიერ ჯამურად დაზღვევის ყველა სახეობაში მოზიდული პრემია. მიუხედავად იმისა, რომ 2016 წელს წინამორბედთან შედარებით გაიზარდა ჯამურად მთელ ბაზარზე მოზიდული პრემია.

ქონების დაზღვევაში ყველა სადაზღვევო კომპანიის მიერ მოზიდული პრემია ჯამურად 2016-2019
 დიაგრამა N3.2.2.



2016 წლის დეკემბერში, სადაზღვევო კომპანიების ბაზრის ასპარეზზე საფუძველი ეყრება “თიბისი დაზღვევას”, რომელიც შეიქმნა თიბისი ჯგუფის დახმარებით, ამ პერიოდიდან მოყოლებული, საკმაოდ სწრაფად ვითარდება კომპანია ბაზარზე. მაგალითად თუ 2017 წლის მოზიდული სადაზღვევო პრემია 5,64(მლ. ლარს) შეადგენდა 2019 წელს 18,10 (მლ. ლარს) შეადგენს.

2019 წელს თიბისი დაზღვევამ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და სტრატეგიული პროდუქტი, ჯანმრთელობის დაზღვევაც დაამატა. თიბისი დაზღვევა თანამედროვე სადაზღვევო კომპანიაა. მათი მიზანია ციფრული და ტექნოლოგიური მიდგომებით, დაზღვევა მარტივი და ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადონ პროვაიდერების თავისუფალი არჩევანი, ულიმიტო ონლაინ ანაზღაურება და ციფრული პლატფორმა, ჩვენი დაზღვევის ხარისხის განმსაზღვრელი უმთავრესი ფაქტორებია.

თიბისი დაზღვევის წარმატება გასაკვირი არ იყო, რადგან ამ კომპანიას ზურგს უმაგრებს ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბანკი, ინვესტიციის მოზიდვის პრობლემა არ გააჩნია. ასევე ყურსადგება ის ფაქტიც, რომ 2001 წელს სწორედ თიბისი ბანკის ეგიდით დაარსდა სადაზღვევო კომპანია GPI ჰოლდინგი, რაც ულევ გამოცდილებასა და შესაძლებლობებზე მიუთითებს ახალად შექმნილი კომპანიისთვის. თიბისი დაზღვევა შემდეგი მიმართულებებით მუშაობს: ქონების დაზღვევა, აგროდაზღვევა, სესხის დაზღვევა, კორპორატიული დაზღვევა, D1 ავტოდაზღვევა, ავტოპასუხსმგებლობის დაზღვევა, სამოგზაურო დაზღვევა, ავტომობილის დაზღვევა, ჯანმრთელობის დაზღვევა, ექსტრა ჯანმრთელობის დაზღვევა. თუ დავუკვირდებით, ზუსტად ასეთი ორიგინალური პაკეტების დიფერენციაციების გამო გახდა თიბისი პოპულარული და აქტუალური. მათი ჯგუფი არ თავაზობს ერთ კონკრეტულ მიმართულებას სადაზღვევო პროდუქტისა, მათ შეთავაზებები ჩაშლილი აქვთ სხვადასხვა ნაწილებად, რათა ნებისმიერი ფენისა და დონის ადამიანისთვისა და ფირმისთვის ხელმისაწვდომი გახდეს.

ძლიერი მარკეტინგის შედეგია ის უზარმაზარი ნახტომიც, რომელმაც სადაზღვევო პრემიის ზრდა გამოიწვია, მაგალითად 2019 წელს ის 18,10 (მლ. ლარს) შეადგენს.

თვალში საცემი და დასამახსოვრებელი რეკლამა: „შეცდომები მოსულა“



2011 წლიდან აგროსფეროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სახელმწიფოს მხრიდან, დაიწყო სუფსიდირება, გრანტებისა და აგრო კრედიტების გაცემა შეღავათიან ფასებად. შესაბამისად სადაზღვევო კომპანიებს კარგი საშუალება მიეცათ სარგებელი ენახათ ამ კონკრეტული მიმართულებით. აგრო დაზღვევა ახალ მიმზიდველ გამოწვევას წარმოადგენდა სადაზღვევო კომპანიებისთვის.

2016 წლიდან აგროდაზღვევის ფარგლებში 100 მდე პოლისი დარიგდა, საიდანაც სახელმწიფომ 100,000 ლარის რაოდენობის სადაზღვევო პრემია დააფინანსა.

ხოლო 2019 წელს უკვე 1700 პოლისი გაიცა, საიდანაც სახელმწიფო მთავრობა 650,000 ლარის რაოდენობის სადაზღვევო პრემიას აფინანსებს.


2020 წლის დასაწყისიდან კორონა ვირუსით იგივე covid-19-ის გამო მრავალმა სფერომ დიდი კრიზისი მიიღო, მაგრამ მატერიალური ზიანი იმდენად არაფერია, რამდენადაც ადამიანის სიცოცხლე. სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფასი არაფერია, პანდემიის პერიოდში მრავალი ადამიანი გარდაიცვალა და ბევრად მეტი დასნეულდა, ეს გლობალური პრობლემა, ესე მოულოდნელად დაატყდა მსოფლიოს თავს.

რაც შეეხება საქართველოს მაგალითს, მთავრობამ დროულად მოახდინა რეაგირება და ლოკალიზება რამაც სხვა ქვეყნებში განვითარებული სცენარი და შეცდომები აგვარიდა, ამის მიუხედავად მაინც მიაღწა ზიანი როგორც ეკონომიკის დარგებს ასევე ჯანდაცვასაც და ქვეყის ეკონომიკა თითქმის ჩამოიქცა, სამი თვის განმავლობაში როცა ქვეანაში საგანგებო სიტუაცია გამოცხადდა.

გრაფიკულად განვიხილოთ სადაზღვევო ბაზარზე ჯამურად ყველა სახეობაში და ქონების დაზღვევაში გაფორმებული პოლისების რაოდენობის ცვლილების დინამიკა.

ამრიგად, ყოველწლიურად შეინიშნება სადაზღვევო კომპანიების მიერ გაფორმებული პოლისების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა. სადაზღვევო კომპანიების განცხადებით აღნიშნული ზრდა გამოწვეული იყო ბაზრის ზრდით, კორპორატიული დაზღვევის განვითარებით, კომპანიების მიერ შეთავაზებული სერვისის გაუმჯობესებით, დასაქმებულთა რაოდენობისა და მათი ფინანსური მდგომარეობის ზრდით.

სადაზღვევო კომპანიების მიერ გაფორმებული პოლისების რაოდენობა. დიაგრამა N3.2.3.



ქონების დაზღვევაში გაფორმებული პოლისების რაოდენობაც მსგავსი ტენდენციით ხასიათდება, თუმცა, უფრო მცირე მასშტაბით. აგრეთვე სავარაუდოა, რომ მომავალ წლებში სწორედ ეს სეგმენტი გაიზრდება მკვეთრად, რის საფუძველსაც იძლევა ის ფაქტი, რომ დღესდღეობით საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებული 900,000 ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან დაზღვეულია მხოლოდ 7%, ამასთან სულ უფრო იზრდება ქონების დაზღვევის მნიშვნელობაც.²

1) დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა.

2018 წელს დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა წარმოადგენს 90 464 ერთეულს, რაც 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (77 188) 14,6%-ით არის გაზრდილი. 2017 წელს აღინიშნება წინა წელთან შედარებით მცირე ზრდა, დაზღვეულია 57,925 სატრანსპორტო საშუალება და ზრდა შეადგენს 10,4%-ს.

დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა³ ცხრილი N 3.2.1.

| წელი | დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა | პროცენტული ზრდა წინა წელთან შედარებით |
|-----------|---|---------------------------------------|
| 2017 წელი | 44,992 | - |
| 2018 წელი | 51,790 | 13,1% |
| 2019 წელი | 57,925 | 10,4% |
| 2020 წელი | 75,395 | 89,5% |

დაზღვეულ სატრანსპორტო საშუალებებს შორის უდიდესი ნაწილი მოდის სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებზე, გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა. აღნიშნული ტენდენცია წლების მიხედვით თითქმის უცვლელია, 2017 წელს კიდევ უფრო გაიზარდა,

² www.xprimme.com -საქართველოს ინდუსტრიის მიმოხილვა, სამომავლო გეგმები და ბაზრის განვითარების სტარტეგია.

³ წყარო: საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური. სტატისტიკური მონაცემები.

ხოლო საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა 0-ს გაუტოლდა. ეს ყველაფერი კი გამოწვეულია საქართველოში თავად სადაზღვევო სისტემისა და სადაზღვევო კულტურის განუვითარებლობით.

ქონების დაზღვევაში მოზიდული პრემია 2015 წლიდან ყოველწლიურად იზრდებოდა. 2018 წელს 13,5%-ით იყო გაზრდილი ქონების დაზღვევაში მოზიდული პრემია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.


თუმცა, აღსანიშნავია რომ ზრდადი ტენდენცია არ არის დამახასიათებელი ქონების დაზღვევის ყველა სახეობისათვის. 2018 წელს წინა წელთან შედარებით შემცირებული ტვირთების დაზღვევა, 2016 წელს ეს მოზიდულია 6,215,831 ლარი, ხოლო 2018 წელს 4,582,783 ლარი. აგრეთვე, შემცირებულია საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა კორპუსის დაზღვევა. აღსანიშნავია, რომ ქონების დაზღვევის ზოგიერთი მიმართულება საერთოდ არ არის განვითარებული, კერძოდ სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა.

2) მოზიდული პრემია

მოზიდული პრემია მოიცავს სადაზღვევო პრემიას, რომელიც მიეკუთვნება საანგარიშო პერიოდში ძალაში შესულ სადაზღვევო ხელშეკრულებებს (მრავალწლიანი ხელშეკრულებების ჩათვლით) მიუხედავად იმისა გადახდილი არის მზღვევლისათვის პრემია, თუ არა.

2018 წელს სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდულმა ჯამურმა სადაზღვევო პრემიამ 523,426,579 ლარი შეადგინა. (იხილეთ დიაგრამა N3) 2017 წელს შემცირებულია აღნიშნული მაჩვენებელი 441,400,962 ლარი . 2016 წელს კიდევ უფრო შემცირებულია სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული ჯამური სადაზღვევო პრემია(376,491,445), რაც გამოწვეულია საყოველთაო დაზღვევის ამოქმედებით, რამაც შეამცირა კერძო სადაზღვევო კომპანიების წილი. 2015 წელს კი კვლავ გაიზარდა სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული პრემია 359,318,994 ლარამდე.

ბაზრის სტრუქტურა მოზიდული პრემიის მიხედვით დიაგრამა N3.2.4.



2015 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქონების დაზღვევაში მოზიდული პრემია, თუმცა, დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა მხოლოდ 30%-ით გაიზარდა, პოლისების რაოდენობა კი 33%-ით, რაც ნიშნავს რომ ქონების დაზღვევის შიდა ბაზრის რეალური ზრდა არ მომხდარა.

განვიხილოთ საქართველოში სადაზღვევო კომპანიების მიერ 2015 წლიდან დღემდე სადაზღვევო ბაზარზე და ქონების დაზღვევაში ანაზღაურებული ნეტო ზარალების სტატისტიკა. ნეტო - არის გადახდილი ზარალების ოდენობა გადაზღვევის გამოკლებით. ეს მაჩვენებელი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ სადაზღვევო ბაზარზე არსებული რეალური მდგომარეობა და სადაზღვევო კომპანიების მიერ რეალურად ანაზღაურებული ზარალები.

ანაზღაურებული ზარალები. ⁴ ცხრილი N3.2.2.

⁴ წყარო: საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები


| პერიოდი | ანაზღაურებული ზარალი ქონების დაზღვევაში (ლარი) | პრონტული ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით | ანაზღაურებული დაზღვევა მთლიანად სადაზღვევო ბაზარზე (ლარი) | ქონების დაზღვევის წილი (%) |
|-----------|--|---|---|----------------------------------|
| 2015 წელი | 17 800 949 | - | 260 159 393 | 6,84% |
| 2016 წელი | 18 236 600 | 2,45% | 368 984 614 | 4,94% |
| 2017 წელი | 26 187 077 | 43,6% | 207 712 625 | 12,6% |
| 2018 წელი | 35 094 450 | 34,01% | 171 787 962 | 20,43% |

სადაზღვევო კომპანიების მიერ სადაზღვევო ბაზარზე ანაზღაურებული ზარალები ყველაზე მაღალი იყო 2016 წელს (იხ. ცხრილი N3.2). თუმცა, ეს ზრდა გამოწვეული იყო ჯანმრთელობის დაზღვევაში ანაზღაურებული ზარალების მნიშვნელოვანი ზრდით (368 984 614 ლარი), აღნიშნული მაჩვენებელი 2017 წელს კი შეადგენდა 207 712 625 ლარს. ჯანმრთელობის დაზღვევაში ანაზღაურებული ზარალების ამგვარი ზრდა კი უპირველესად საყოველთაო დაზღვევის ამოქმედებით იყო გამოწვეული. ქონების დაზღვევაში ანაზღაურებული ზარალების მოცულობა 2015-2020 წლების განმავლობაში ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. სხვაობა გამომუშავებულ პრემიასა და ანაზღაურებულ ზარალებს შორის.

იმ კომპანიებს რომლებსაც უკვე დაუდგათ ფინანსური დეფიციტი საჭიროა დროულად მოაგვარონ ეს პრობლემა კომპანიის გაყიდვით ან ინვესტორის მოძიებით. ფუნქციონირების გაგრძელებისთვის საჭიროა მენეჯმენტმა რისკების დივერსიფიცირება მოახდინოს და სხვადასხვა სფეროები მოიცვას, ასევე კომპანიების მომსახურეობა უნდა გახდეს ლიბერალური, რაც გულისხმობს რომ არ გაიზარდოს განაკვეთები. სტრატეგიის შეცვლაზე საუბრისას ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ქართულ სადაზღვევო კომპანიებს რისკებზე წასვლა არ უყვართ და უფრო თავდაცვით მექანიზმებს ამუშავებენ. მმათ ურჩევნიათ ცოტა კლიენტი ჰყავდეთ, ვიდრე გაკოტრდნენ და ფაქტიურად მათი საქმიანობა დედაქალაქის არეალს არ სცილდება. ქართული სადაზღვევო კომპანიების პრობლემა იმაშია, რომ არსებულ ბაზარზე, რომელიც მწირია, არ არის სრულყოფილი კონკურენცია, კომპანიებს გააჩნიათ მაღალი სადაზღვევო შენატანები და გაზრდილი

განაკვეთები, რაც იმას ნიშნავს რომ ფაქტიურად მომხმარებლის სასარგებლოდ არაფერი არ შეცვლილა. რა თქმა უნდა დაზღვევა კერძო ბიზნესია და კომპანიებიც მოგებაზე არიან ორიენტირებულები, თუმცა მოგების მიღებაზე უფრო მომსახურების გაუმჯობესებაზე უნდა იზრუნონ.


იმისათვის რომ გავანალიზოთ, რამდენად ეფექტური აღმოჩნდა ქვეყნის ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები, განვიხილოთ სადაზღვევო ბაზრის განვითარების სტატისტიკური მაჩვენებლები. შევადაროთ 1991 წლის და 2011 წელს არსებული მონაცემები ერთმანეთს:



უცხოური სადაზღვეო კომპანიების შესვლამ პოლონეთის სადაზღვევო ბაზარზე განაპირობა ქვეყანაში კაპიტალის, უცხოური ცოდნის და გამოცდილების შეტანა. აგრეთვე გაიზარდა სადაზღვევო პროდუქტების მრავალფეროვნება. აღნიშნული კომპანიები იყენებენ შიდა რესურსს სერვისის გასაუმჯობესებლად. პოლონეთის სადაზღვევო ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა უკავიათ უცხოურ კომპანიებს სიცოცხლის და ქონების დაზღვევის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი

წამყვანი სადაზღვევო კომპანია სახელმწიფოსთან ერთად ახორციელებს საქმიანობას სიცოცხლის დაზღვევის მიმართულებით.

სადაზღვევო კომპანიები პოლონეთის სადაზღვევო ბაზარზე დიაგრამა N3.2.5.



არსებული კომპანიებიდან მხოლოდ 8 ფლობს როგორც სიცოცხლის, აგრეთვე არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას, რაც წარმოადგენდა პოლონეთის სადაზღვევო ბაზრის ძირითად მიზანს - მოეხდინა აღნიშნული მიმართულებების დივერსიფიცირება.

დღეისათვის ბაზარზე მოქმედებს 80 სადაზღვევო კომპანია, აქედან 66 არის ადგილობრივი, ხოლო ერთი გადაზღვევის. ბაზარზე უმეტესად დომინირებენ ბაზრის მსხვილი მონაწილეები, რაც ნიშნავს, რომ მაღალია მათი კონცენტრაცია ბაზარზე მთლიანად მოზიდული პრემიაში. სიცოცხლის დაზღვევას საკმაოდ დიდი წილი უკავია ქვეყნის სადაზღვევო ბაზარზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით მძაფრი კონკურენციით ხასიათდება არასიცოცხლის დაზღვევის ბაზარი. უძრავი ქონების დაზღვევის ბაზარი მიმდინარე წელს გაიზარდა ყველაზე მეტად სხვა მიმართულებებთან შედარებით.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევიდან მოზიდული პრემია ყველაზე მაღალია არასიცოცხლის დაზღვევის მიმართულებებს შორის. პოლონეთის

ხელისუფლებამ სავალდებულო გახადა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთათვის მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა. ამან განაპირობა ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეალიზაციის და ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობის შემცირება.

განვიხილოთ, თუ როგორ იცვლება საქართველოში წლების განმავლობაში ქონების დაზღვევაში მოზიდული პრემია და აგრეთვე მისი წილი მთლიანად მოზიდულ პრემიაში.

საქართველოში ქონების დაზღვევაში მოზიდული პრემია და აგრეთვე მისი წილი მთლიანად მოზიდულ პრემიაში

საქართველოში ქონების დაზღვევაში მოზიდული პრემია და აგრეთვე მისი წილი მთლიანად მოზიდულ პრემიაში ცხრილი N3.2.3

| | 2016 წელი | | 2017 წელი | | 2018 წელი | | 2019 წელი | |
|---|-----------------|--------------|-----------------|--------------|-----------------|--------------|-----------------|--------------|
| დაზღვევის სახეობა | მოზიდული პრემია | წილი ბაზარზე | მოზიდული პრემია | წილი ბაზარზე | მოზიდული პრემია | წილი ბაზარზე | მოზიდული პრემია | წილი ბაზარზე |
| სიცოცხლის დაზღვევა | 22,638,777 | 5.50% | 12,597,173 | 2.67% | 16,657,115 | 5.50% | 25,021,595 | 6.95% |
| სამოგზაურო დაზღვევა | 3,664,416 | 1.42% | 3,570,556 | 0.76% | 4,310,605 | 1.42% | 5,265,838 | 1.46% |
| უბედური შემთხვევის დაზღვევა | 2,902,265 | 1.11% | 2,829,651 | 0.60% | 3,362,074 | 1.11% | 4,076,376 | 1.13% |
| სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა | 380,333,584 | 43.23% | 341,377,599 | 72.47% | 130,822,894 | 43.23% | 153,850,655 | 42.76% |
| სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა) | 31,410,515 | 14.05% | 36,481,443 | 7.74% | 42,530,150 | 14.05% | 56,320,854 | 15.65% |
| სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა | 4,224,867 | 2.00% | 4,494,278 | 0.95% | 6,046,928 | 2.00% | 8,422,957 | 2.34% |
| სარკინიგზო სატრანსპორტო | 0 | 0.00% | 0 | 0.00% | 0 | 0.00% | 0 | 0.00% |

| | | | | | | | | |
|---|--------------------|-------------|--------------------|-------------|--------------------|-------------|--------------------|-------------|
| საშუალებათა დაზღვევა | | | | | | | | |
| საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (კორპუსის დაზღვევა) | 5,596,879 | 1.25% | 2,939,490 | 0.62% | 3,794,390 | 1.25% | 4,974,346 | 1.38% |
| საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევა | 4,131,232 | 1.25% | 4,325,897 | 0.92% | 3,786,708 | 1.25% | 3,330,188 | 0.93% |
| მცურავი სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა (კორპუსის დაზღვევა) | 351,826 | 0.10% | 1,090,939 | 0.23% | 309,624 | 0.10% | 536,782 | 0.15% |
| მცურავ სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევა | 31,163 | 0.00% | 0 | 0.00% | 6,039 | 0.00% | 10,418 | 0.00% |
| ტვირთების დაზღვევა | 3,820,441 | 2.05% | 4,564,705 | 0.97% | 6,215,831 | 2.05% | 4,582,783 | 1.27% |
| ქონების დაზღვევა | 41,020,206 | 21.39% | 41,141,935 | 8.73% | 64,732,706 | 21.39% | 69,326,095 | 19.27% |
| დაზღვევა საფინანსო დანაკარგებისაგან | 2,029,654 | 0.36% | 1,648,637 | 0.35% | 1,082,503 | 0.36% | 1,578,134 | 0.44% |
| ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა | 4,839,680 | 2.34% | 5,587,245 | 1.19% | 7,088,934 | 2.34% | 6,377,346 | 1.77% |
| საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევა | 490,656 | 0.06% | 39,346 | 0.01% | 172,100 | 0.06% | 46,292 | 0.01% |
| სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა | 7,985,268 | 3.87% | 8,377,225 | 1.78% | 11,722,071 | 3.87% | 16,078,111 | 4.47% |
| იურიდიული ხარჯების დაზღვევა | 0 | 0.00% | 0 | 0.00% | 0 | 0.00% | - | 0.00% |
| სულ | 515,471,427 | 100% | 471,066,120 | 100% | 302,640,671 | 100% | 359,798,773 | 100% |

| | | | | | | | | |
|------------------------|------------|--------|------------|--------|-------------|--------|-------------|--------|
| ქონების დაზღვევის წილი | 84,229,520 | 16.34% | 87,867,149 | 18.65% | 118,665,203 | 39.21% | 137,318,994 | 38.17% |
|------------------------|------------|--------|------------|--------|-------------|--------|-------------|--------|

მოზიდული პრემია ყველაზე მაღალი იყო 2016 წელს, რაც გამოწვეული იყო საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის ამოქმედებით. სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, რომ მთლიანი მოზიდული პრემია გაიზარდა სწორედ ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაზღვევის ხარჯზე.

2017 წელს მიუხედავად იმისა, რომ ჯამური მოზიდული პრემია შემცირებულია წინა წელთან შედარებით, ქონების დაზღვევა მაინც ზრდადი ტენდენციით ხასიათდება.

ქონების დაზღვევაში მოზიდული პრემია 2016 წლიდან ყოველწლიურად იზრდებოდა. 2019 წელს 13,5%-ით იყო გაზრდილი ქონების დაზღვევაში მოზიდული პრემია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

თუმცა, აღსანიშნავია რომ ზრდადი ტენდენცია არ არის დამახასიათებელი ქონების დაზღვევის ყველა სახეობისათვის. 2019 წელს წინა წელთან შედარებით შემცირებული ტვირთების დაზღვევა, 2018 წელს ეს მოზიდულია 6,215,831 ლარი, ხოლო 2019 წელს 4,582,783 ლარი. აგრეთვე, შემცირებულია საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა კორპუსის დაზღვევა.

3.3 COVID პანდემია და 2020 გამოწვევები


2020 წლის დასაწყისიდან კორონა ვირუსით იგივე covid-19-ის გამო მრავალმა სფერომ დიდი კრიზისი განიცადა: ტურიზმმა, ჯანდაცვამ, აგრონომიამ, ეკონომიკამ, ჯანდაცვამ, მაგრამ მატერიალური ზიანი იმდენად არაფერია, რამდენადაც ადამიანის სიცოცხლე. პანდემიის პერიოდში მრავალი ადამიანი გარდაიცვალა და ბევრად მეტი დასნეულდა, ეს გლობალური პრობლემა ესე დაატყდა მსოფლიოს თავს.

რაც შეეხება საქართველოს შემთხვევას, მთავრობამ დროულად მოახდინა რეაგირება და ლოკალიზაცია რათა მეგობარი ქვეყნების სცენარი და შეცდომე არ მომხდარიყო ჩვენთან, ამის მიუხედავად მაინც მიაღწა ზიანი როგორც ეკონომიკის დარგებს ასევე ჯანდაცვასაც და ქვეყის ეკონომიკა თითქმის გაჩერდა, ორი თვის განმავლობაში როცა ქვეანაში საგანგებო სიტუაცია გამოცხადდა.

მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა მრავალ სფეროს შეეხო: ჯანდაცვას, აგროსფეროს, ეკოლოგიას, ეკონომიკას, განათლებას. განვიხილოთ სადაზღვევო კომპანიების როლი კორონასთან ბრძოლაში, გლობალურად მსოფლიო მამტაბით დასავლურ ქვეყნებში სიცოცხლის დაზღვევა ნაცნობი საკითხია და საზოგადოება მიჩვეულია ამ სერვისს, აქედან გამომდინარე მათთვის ახალი არ ყოფილა სადაზღვევო კომპანიებიდან მიღებული ახალი შემოთავაზება დაზღვევა კოვიდ 19 ისგან, თავისი არსით სიცოცხკის დაზღვევას წააგავს, საქართველოში კი ეს სფერო ცოტა არ იყოს და გაუვრცელებელია და მიღებული არ არის, ალბათ დროისა და განათლების ამბავია, საბოლოოდ დასამკვიდრებლად. ასე, რომ ქართული საზოგადოება ცოტა კრიტიკულად შეხვდა კოვიდის წინააღმდეგ ჩაშვებულსადაზღვევო პაკეტებს.

განვიხილოთ TBC Insurance ის მაგალითი, რომელიც კოვიდ-19 ის გართულებისგან დაზღვევას გვთავაზობს. ამ პაკეტით სარგებლობისას მომხმარებელი აზღვევს თავს COVID-19-ის გართულებებსგან. დაზღვევის ღირებული 19 ლარია და განისაზღვრება ერთჯერადი გადახდით. დაზღვეულის გარდაცვალებისას, მის კანონისმიერ მემკვიდრეს ერთჯერადად გადაეცემა 50,000 ლარი, თუ საავადმყოფოში ყოფნისას, დაზღვეულის მდგომარეობა ხასიათდება COVID-19-ის მძიმე მიმდინარეობით, მასზე ერთჯერადად

გაიცემა 10,000 ლარი დაზღვეულმა ხელი უნდა მოაწეროს განაცხადს, რომლითაც ადასტურებს, რომ დაზღვევის გაფორმების თარიღისთვის ის არ ელოდება პასუხს COVID-19-ის ტესტზე, ან აღნიშნულ ტესტზე მას არ აქვს მიღებული დადებითი პასუხი, ასევე მას არ აწუხებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის, სასუნთქი სისტემის, ონკოლოგიური დაავადებები, დამბლა, ინსულტი და/ან დიაბეტი. 18-დან 65-წლამდე საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში მუდმივად მცხოვრები ადამიანები მიიღებენ ამ მომსახურებას. სამწუხაროდ ამ მომსახურებამ დიდი რეპუტაციით ვერ ისარგლება, რადგან ახალ ხილს წარმოადგენს ქართული საზოგადოებისთვის მსგავსი მომსახურეობა, რაც სიკვდილ სიცოცხლის საქმეს წარმოადგენს. ამაზე კი TBC Insurance-ის სტატისტიკა მეტყველებს.



მრავალი სადაზღვეო კომპანია ჩაერთო TBC Insurance-ის მსგავსად COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგალითად AIDAGI, GPI Holding,

TBC Insurance-მა 300 000 ლარის ოდენობით სადაზღვეო პაკეტი გამოყო ჩვენი ექიმების დასაზღვევად, ეს ნამდვილად კარგი ნოტა, იმ ხალხისთვის რომლებიც, ჩვენს გადასარჩენად თავიანთ სიცოცხლეს საფრთხის ქვეშ აყენებენ ყოველდღიურად.



რაც შეეხება აგრო დაზღვევასა და COVID-19-ის დამოკიდებულებას, 2020 წლის დასაწყისიდან კორონა ვირუსით იგივე covid-19-ის გამო მრავალმა სფეროს დიდი ზიანი მიაღწა: ტურიზმს, ჯანდაცვას, მათ შორის საყურადღებოა აგრონომია, რადგან მთავრობისა და პრეზიდენტის დეკრეტის გამო აგრონომები და მიწათმოქმედი ვერ ახერხებდნენ ვერც მოსავლის მოვლა მოწესრიგებას და ვერც უკვე აწ მოყვანილი მოსავლის დაბინავებას და მითუმეტეს რეალიზებას. განვიხილოთ მარნეულის მაგალითი, მარნეულის კლასტერის გამო მოხდა ტერიტორიის კონსერვაცია და ყველანაირი გზები ჩაიკეტა, ასე რომ ტონობით მოსავალი რომელზეც ქართველმა ხალხმა ასე იწვალა დარჩა რეალიზაციის გარეშე და ლპობასა და გაფუჭებას დაექვემდებარა. მაგრამ სახელმწიფოს როლი აქაც დიდი იყო. ბუნების დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დიდი ოდენობით თანხების სუფსიდირება მოახდინა აგრო სფეროში, მაგალითად 0,25 ჰა დან 1 ჰა-მდე მიწის ნაკვეთის მფლობელებს 50 ლარიანი ვაუჩერები გადასცა ხოლო 1ჰა-ზე და მომდევნო თითოეულ ჰექტარზე 200-200 ლარის ოდენობით ვაუჩერები. ამასთან ერთად მოხდა აგრო საწვავზე დიდი შეღავათის გაკეთება და

ყველაზე მთავარი აგრო დაზღვევის გაკეთება მთელი პრაქტიკის განმავლობაში ყველაზე ხელმისაწვდომ ფასად მოხდა შესაძლებელი. ეს გახლავთ მთავრობისა და სადაზღვევო კომპანიების საერთო გეგმა და პროექტი რომელიც ხელს უწყობს აგრო ბიზნესის განვითარებას საქართველოში.

2020 წლის დასაწყისიდან კორონა ვირუსით, იგივე covid-19-ის შემოსვლამ საქართველოში საშუალება მოგვცა უკეთ დაგვენახა მრავალ სფეროში გარღვევები და სუსტი მხარეები. ასევე დაგვენახა თუ რამდენად საჭიროა თითოეული ჩვენგანისთვის დაზღვევის მნიშვნელობა და აუცილებლობა.

დასკვნები და წინადადებები

საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს სადაზღვევო ბაზრის განვითარებისა და ხელშეწყობისათვის ღონისძიებები. ხორციელდება სადაზღვევო კომპანიების გამსხვილების პროცესი. კონკურენცია სადაზღვევო კომპანიებს შორის განაპირობებს შეთავაზებული სადაზღვევო პაკეტების მრავალფეროვნებას და მისაღებ ფასს.

სტატისტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყოველწლიურად იზრდება ქონების დაზღვევის მიმართულებით სადაზღვევო კომპანიების მიერ გაფორმებული პოლისების რაოდენობა. აღნიშნული დარგი მზარდი ტენდენციით ხასიათდება ყველა სადაზღვევო კომპანიისათვის.

ყოველწლიურად იზრდება დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობაც. თუმცა, ზრდა არ შეიმჩნევა ქონების დაზღვევის ყველა მიმართულებით. მაგალითად, შემცირებულია ფინანსური დანაკარგებისაგან დაზღვევა მიმდინარე წელს, აგრეთვე საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების კორპუსის დაზღვევა. ქონების დაზღვევის ძირითად მიმართულებებს სადაზღვევო კომპანიებისათვის წარმოადგენს სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა, ქონების დაზღვევა და ტვირთების დაზღვევა.

გაზრდილია მოზიდულ პრემიაში ქონების დაზღვევის წილი, ხოლო შემცირებულია ჯამურად მოზიდულ პრემიაში ჯანმრთელობის დაზღვევის წილი. რაც მეტყველებს იმაზე, რომ მოსახლეობაში სულ უფრო მეტ დაინტერესებას იწვევს ქონების დაზღვევა, რომელიც იცავს მათ მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგებისაგან.

სრულყოფილი სადაზღვევო სისტემა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის ერთ-ერთი მახასიათებელია. ამ სფეროს ნორმალური ფუნქციონირება ეკონომიკის აღორძინების, კაპიტალდაბანდებების ზრდის (როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ინვესტიციების ხარჯზე) საშუალებას იძლევა. სადაზღვევო სისტემის განვითარება ხელს უწყობს რისკების მართვას და მის გადანაწილებას, უზრუნველყოფს

ეკონომიკის სტაბილურობას გრძელვადიანი ინვესტიციების განხორციელების გზით. იგი ხელს უწყობს სტაბილური და მდგრადი დანაზოგებისა და საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბებას.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ რომ ქონების დაზღვევა წარმოადგენს დაზღვევის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებას, რომელიც ყოველწლიურად სულ უფრო იზრდება და ბაზრის უფრო მეტ წილს იკავებს. ამის მიზეზი არის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, სადაზღვევო კომპანიების გააქტიურება ქონების დაზღვევის მიმართულებით და მოსახლეობისათვის დაზღვევის მრავალფეროვანი პაკეტების შეთავაზება.

აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით სწორედ ქონების დაზღვევა წარმოადგენს სადაზღვევო კომპანიებისათვის ყველაზე მიმზიდველ სეგმენტს, რადგან აუთვისებელი ნაწილი ძალიან დიდია. განსაკუთრებით, კი ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევაში. ამასთან ძალიან მცირეა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევა მესამე პირთა წინაშე. დღესდღეობით პასუხისმგებლობის დაზღვევა სავალდებულოა მხოლოდ საზღვარგარეთ რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებებისათვის. 2022 წლისთვის იგეგმება კანონპროექტის შემუშავება, რის საფუძველზეც პასუხისმგებლობის დაზღვევა სავალდებულო გახდება ყველა ავტომობილისათვის. დაზღვეულთა მცირე რაოდენობა და ერთ სულ მოსახლეზე პრემიის დაბალი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ სადაზღვევო ბაზრის ამ სეგმენტს აქვს მაღალი მიმზიდველობა და პოტენციალი, თუმცა აუცილებელია, როგორც სახელმწიფოს აგრეთვე სადაზღვევო კომპანიების ძალისხმევა, რათა მოხდეს ამ სეგმენტის ათვისება.

ქონების დაზღვევა წარმოადგენს სადაზღვევო კომპანიებისათვის ყველაზე მიმზიდველ სეგმენტს, რადგან აუთვისებელი ნაწილი ძალიან დიდია. განსაკუთრებით, კი ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევაში. ამასთან ძალიან მცირეა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევა მესამე პირთა წინაშე. დღესდღეობით პასუხისმგებლობის დაზღვევა სავალდებულოა მხოლოდ საზღვარგარეთ რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებებისათვის.

შეგვიძლია განვსაზღვროთ განვითარების ფაქტორები, შესაძლებლობები და გამოწვევები, რომლებიც დგას საქართველოს სადაზღვევო ბაზრის წინაშე კერძოდ კი არასიცოცხლის დაზღვევის მიმართულებით.

1. სადაზღვევო ბაზრის განვითარების ძირითად მიზანს უნდა წარმოადგენდეს კერძო დაზღვევის განვითარება (განსაკუთრებით დაზღვეული ავტომობილების რაოდენობის გაზრდა);
2. სადაზღვევო ბაზრის წინაშე მნიშვნელოვანი შესაძლებლობები დგას, რაც გამოიხატება იმაში, რომ ბაზარზე შეღწევადობის დონე ევროპის ქვეყნებთან შედარებით ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად დაბალია და არსებობს რეალური შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გაიზაროს საქართველოს სადაზღვევო ბაზარი;
3. მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც არსებობს საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე არის ფასებს შორის მკაცრი კონკურენციის ჩამოყალიბება, კერძოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევაში.

ნაშრომში განხილული მასალა საშუალებას გვაძლევს ჩამოვყალიბოთ შემდეგი რეკომენდაციები ქონების დაზღვევის ბაზრის განვითარებისათვის:

- ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- დაზღვევის სავალდებულო ფორმების შემოღება, რაც გამოიწვევს ინვესტორების დაინტერესებას;
- სახელმწიფომ უნდა მოახდინოს სადაზღვევო ბაზრის მკაცრად რეგულირება და კონკურენციის თანაბარი პირობების არსებობა.
- უნდა შემუშავდეს მონაცემთა სრულყოფილი სტატისტიკური ბაზა;
- საჭიროა მოხდეს მონაცემთა სტანდარტიზება და პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესება;
- დაინერგოს საუკეთესო მარკეტინგული პრაქტიკა;

- მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება სადაზღვევო პოლისების, სადაზღვევო ტერმინების და ძირითადი მახასიათებლების შესახებ;
- აუცილებელია შემუშავდეს მომხმარებელთა საჩივრების განხილვის სამართლიანი სისტემა;

გამოყენებული ლიტერატურის სია:

წიგნები და მონოგრაფიები:

1. გიგოლაშვილი გ. სადაზღვევო საქმე თბ., 2010
2. შათირიშვილი ჯ. კაკაშვილი ნ. სადაზღვევო საქმე თბ., 2012
3. <http://insurance.gov.ge> - საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური
4. <http://www.fms.gov.ge> - სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური
5. www.aldagibci.ge - სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“
6. www.iraog.ge - შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია „ირაო“
7. www.gpih.ge - სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“
8. www.chartisinsurance.com - სს სადაზღვევო კომპანია ჩარტისის საქართველოს ფილიალი
9. www.icgroup.ge – შპს სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფი“
10. www.unison.ge - შპს სადაზღვევო კომპანია „უნისონი“
11. www.standard-insurance.ge - სს „სტანდარტ დაზღვევა საქართველო“
12. www.ardi.ge - შპს სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფი“
13. www.xprimme.com - საერთაშორისო სადაზღვევო სტატისტიკა
14. www.insurance.org.ge - საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია
15. www.insuranceeurope.eu
16. www.piu.org.pl - Polish Insurance Association
17. Cee.milliman.com – international firm of consulting and actuaries

საკანონმდებლო აქტები, წლიური ანგარიშები და სტატიები:

1. საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ. 1997 .
2. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2015 წლის 20 აპრილის ბრძანება N 04 „საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“
3. <http://geoeconomics.ge> ალექსანდრა ლალიაშვილი, „საქართველოს სადაზღვევო სისტემის ბაზარი“.
4. <http://geoeconomics.ge> ლია პიტიურიშვილი, ეკონომიკის დოქტორი, „სადაზღვევო ბაზრის მონოპოლისტური ტენდენციები“.
5. <http://cee.milliman.com> - Milliman Insurance in the CEE Region – Actuarial & Consulting Services in Central and Eastern Europe.
6. [http:// www.piu.org.pl](http://www.piu.org.pl) - Polish insurance market: growth and potential.

| სადაზღვევო კომპანიები | 2016 წელი | | | 2017 წელი | | | 2018 წელი | | | 2019 წელი | | |
|---|--------------------|-------------------|---------------|--------------------|-------------------|---------------|--------------------|--------------------|---------------|--------------------|-------------------|---------------|
| | სულ | ქონება | წილი | სულ | ქონება | წილი | სულ | ქონება | წილი | სულ | ქონება | წილი |
| ალდაგი | 103,148,331 | 25,668,019 | 24.88% | 143,212,841 | 36,927,257 | 25.78% | 93,528,064 | 45,364,688 | 48.50% | 70,765,708 | 51,382,416 | 72.61% |
| ჯი პი აი ჰოლდიგი | 78,908,034 | 15,991,195 | 20.27% | 84,460,192 | 20,855,308 | 24.69% | 79,384,260 | 28,350,836 | 35.71% | 72,921,987 | 24,289,239 | 33.31% |
| ირაო | 48,846,408 | 7,500,615 | 15.36% | 46,685,765 | 7,247,145 | 15.52% | 28,115,988 | 11,953,840 | 42.52% | 29,007,102 | 10,459,694 | 36.06% |
| აი სი ჯგუფი | 47,124,906 | 8,906,220 | 18.90% | 43,696,131 | 5,020,192 | 11.49% | 18,000,539 | 9,258,366 | 51.43% | 14,939,036 | 7,067,348 | 47.31% |
| არდი | 8,472,084 | 3,411,470 | 40.27% | 22,064,022 | 6,640,682 | 30.10% | 23,282,166 | 6,668,921 | 28.64% | 26,011,645 | 4,235,709 | 16.28% |
| სულ TOP 5 | 286,499,763 | 61,477,519 | 21.46% | 340,118,951 | 76,690,584 | 22.55% | 242,311,017 | 101,596,651 | 41.93% | 213,645,478 | 97,434,406 | 45.61% |
| სადაზღვევო ბაზარზე მთლიანად მოზიდული პრემია | 515,471,427 | 84,229,520 | 16.34% | 471,066,120 | 87,867,149 | 18.65% | 302,640,671 | 118,665,203 | 39.21% | 359,798,773 | 137,318,994 | 38.17% |
| წილი | 55.58% | 72.99% | | 72.20% | 87.28% | | 80.07% | 85.62% | | 59.38% | 70.95% | |

დანართი N1. სადაზღვევო კომპანიების მიხედვით ქონების დაზღვევის მიხედვით მოზიდული პრემიის განაწილება 2012-2015 წლები.⁵

⁵ წყარო: სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, სტატისტიკური მონაცემები.

დანართი N2.

| | 2016 წელი | | 2017 წელი | | 2018 წელი | | 2019 წელი | |
|--------------------|---------------------|---------------|---------------------|---------------|---------------------|---------------|---------------------|---------------|
| | მოზიდული პრემია სულ | წილი | მოზიდული პრემია სულ | წილი | მოზიდული პრემია სულ | წილი | მოზიდული პრემია სულ | წილი |
| აღდაგი | 103,148,331 | 20.01% | 143,212,841 | 30.40% | 93,528,064 | 30.90% | 70,765,708 | 19.67% |
| ჯი პი აი ჰოლდინგი | 78,908,034 | 15.31% | 84,460,192 | 17.93% | 79,384,260 | 26.23% | 72,921,987 | 20.27% |
| ირაო | 48,846,408 | 9.48% | 46,685,765 | 9.91% | 28,115,988 | 9.29% | 29,007,102 | 8.06% |
| აი სი ჯგუფი | 47,124,906 | 9.14% | 43,696,131 | 9.28% | 18,000,539 | 5.95% | 14,939,036 | 4.15% |
| არდი | 8,472,084 | 1.64% | 22,064,022 | 4.68% | 23,282,166 | 7.69% | 26,011,645 | 7.23% |
| სულ Top 5 | 286,499,763 | 55.58% | 340,118,951 | 72.20% | 242,311,017 | 80.07% | 213,645,478 | 59.38% |
| სულ პრემია ბაზარზე | 515,471,427 | | 471,066,120 | | 302,640,671 | | 359,798,773 | |

სადაზღვევო კომპანიების მიერ ბაზარზე მთლიანად დაზღვევის ყველა სახეობაში მოზიდული პრემია და წილი ბაზარზე.⁶

⁶ წყარო: სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, სტატისტიკური მონაცემები.

დანართი N3.

| | 2016 წელი | | 2017 წელი | | 2018წელი | | 2019 წელი | |
|--------------------|--------------------------|---------------|--------------------------|---------------|--------------------------|---------------|--------------------------|---------------|
| | მოზიდული პრემია ქონებაში | წილი | მოზიდული პრემია ქონებაში | წილი | მოზიდული პრემია ქონებაში | წილი | მოზიდული პრემია ქონებაში | წილი |
| ალდაგი | 25 668 019 | 30,47% | 36 927 257 | 42,03% | 45 364 688 | 38,23% | 51 382 416 | 37,42% |
| ჯი პი აი ჰოლდინგი | 15 991 195 | 18,99% | 20 855 308 | 23,74% | 28 350 836 | 23,89% | 24 289 239 | 17,69% |
| ირაო | 7 500 615 | 8,90% | 7 247 145 | 8,25% | 11 953 840 | 10,07% | 10 459 694 | 7,62% |
| აი სი ჯგუფი | 8 906 220 | 10,57% | 5 020 192 | 5,71% | 9 258 366 | 7,80% | 7 067 348 | 5,15% |
| არდი | 3 411 470 | 4,05% | 6 640 682 | 7,56% | 6 668 921 | 5,62% | 4 235 709 | 3,08% |
| სულ TOP 5 | 61 477 519 | 72,99% | 76 690 584 | 87,28% | 101 596 651 | 85,62% | 97 434 406 | 70,95% |
| სულ ქონება ბაზარზე | 84 229 520 | | 87 867 149 | | 118 665 203 | | 137 318 994 | |

სადაზღვევო კომპანიების მიერ ქონების დაზღვევაში მოზიდული პრემიის წილი მთლიანად სადაზღვევო ბაზარზე ქონების დაზღვევაში მოზიდულ პრემიაში.⁷

⁷ წყარო: სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, სტატისტიკური მონაცემები.

დანართი N4.

| სადაზღვევო კომპანიები | 2016წელი | | | 2017წელი | | | 2018 წელი | | | 2019 წელი | | |
|--|--------------------|-------------------|---------------|--------------------|-------------------|--------------|--------------------|-------------------|---------------|-------------------|-------------------|---------------|
| | სულ | ქონება | წილი | სულ | ქონება | წილი | სულ | ქონება | წილი | სულ | ქონება | წილი |
| ალდაგი | 48,002,746 | 8,016,014 | 16.70% | 102,279,189 | 7,872,900 | 7.70% | 56,566,526 | 10,509,677 | 18.58% | 19,821,177 | 15,668,374 | 79.05% |
| ჯი პი აი ჰოლდიგი | 46,968,683 | 4,008,770 | 8.53% | 57,323,033 | 5,355,452 | 9.34% | 44,111,902 | 8,013,453 | 18.17% | 31,762,159 | 6,535,304 | 20.58% |
| ირაო | 27,112,221 | 1,239,765 | 4.57% | 41,181,489 | 880,318 | 2.14% | 24,450,652 | 1,588,647 | 6.50% | 12,722,929 | 2,166,814 | 17.03% |
| აი სი ჯგუფი | 24,477,531 | 1,578,395 | 6.45% | 35,880,360 | 1,358,169 | 3.79% | 18,296,769 | 1,211,096 | 6.62% | 6,760,564 | 1,144,790 | 16.93% |
| არდი | 2,329,355 | 823,561 | 35.36% | 7,931,013 | 1,137,388 | 14.34% | 12,473,357 | 1,856,828 | 14.89% | 14,677,205 | 1,921,873 | 13.09% |
| სულ TOP 5 | 148,890,537 | 15,666,504 | 10.52% | 244,595,082 | 16,604,226 | 6.79% | 155,899,205 | 23,179,700 | 14.87% | 85,744,034 | 27,437,155 | 32.00% |
| სადაზღვევო ბაზარზე მთლიანად ანაზღაურებული ზარალი | 260,159,393 | 17,800,949 | 6.84% | 368,984,614 | 18,236,600 | 4.94% | 207,712,625 | 26,187,077 | 12.6% | 171,787,962 | 35,094,450 | 20.43% |
| წილი | 57.23% | 88.01% | | 66.29% | 91.05% | | 75.06% | 88.52% | | 49.91% | 78.18% | |

სადაზღვევო კომპანიების მიერ ანაზღაურებული ზარალების განაწილება წლების მიხედვით⁸

⁸ წყარო: სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, სტატისტიკური მონაცემები.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Economics and business

Lasha-Giorgi Simonishvili-Jakeli

Peculiarities of property insurance in Georgia:

Reality and prospects

Master of business administration program

The research was done to gain an academic quality of Master of business

Administration

Scientific adviser: Professor Nato Kakashvili

Tbilisi 2020